# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 20 ოქტომბერი 2005 №241 (2564) ფასი 50 თეთრი



# XXI CENTURY CHELSEA PRESENTS

## მაურინიუს ჯადომ ბეტისი გააარაფრა




## 2 : 2 ქართველები ბელგიელებს დაეტოლნენ

გუშინ ბელგიაში ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველი ეტაპი დაიწყო და საქართველოს ნაკრებმა პირველი ქულა მოიპოვა. ლევან მელიქიას შეგირდებმა მასპინძლებს ტოლი არ დაუდეს და ფრედ, 2:2 ეთამაშნენ. თუმცა მატჩი ქართველთათვის უიღბლოდ დაიწყო — ბელგიელებმა მე-3 წუთზევე შეძლეს პირველი გოლის გატანა, რასაც ჩვენებურებმა ორი ბურთით უპასუხეს: ჯერ მე-16 წუთზე რევაზ წულაძის ჯარიმიდან ჩაწოდებულს დაჰკრა საგოლე თავური ლევან მჭედლიძემ, მერე კი, 29-ე წუთზე თამაზ ჩარგეიშვილმა 30 მეტრიდან ლამაზი გოლი გაიტანა. მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე ბელგიელებმა მაინც შეძლეს ანგარიშის გათანაბრება.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კვასხვაძე, ბენაშვილი, შარანგია, ხუმარაშვილი, ტეტუნაშვილი (სანაია), დაუშვილი, წულაძე, ჩარგეიშვილი, თარხნიშვილი, ჯანელიძე (პავლიაშვილი), მჭედლიძე (გავაშელიშვილი).

ხვალ ჩვენები ეთამაშებიან ავსტრიელ თანატოლებს, რომლებმაც გუშინვე ბულგარეთთან 0:4 წააგეს.

## დამარცვლით მავანთა გასაგონად: მარ-ცვა-ლა-ძე!

### ვიტ ჯორჯიამ ზესტაფონი უპრესოდ გაპრესა




ზესტაფონი — ვიტ ჯორჯია 0:4. ჰეთთრიქოსანმა ოთარ მარცვალაძემ იმერლებს ტაში აკვრევინა

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი III ტური. ნაწილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## E ჯგუფი

### ფენერბაჰჩე 3:3 შალკე

1:0 ლუსიანო (14), 1:1, 1:2 ლინკოლნი (59, 62), 2:2 ნობრე (73), 2:3 კურანი (77), 3:3 აპია (79)

**ფენერბაჰჩე:** დემირელი, ბალჩი, ტურაჩი, ლუსიანო, უმითი, საჰინი, ალექსი, მ. აურელიო (თუნჯაი 67), ნობრე, აპია, ანელკა

მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი

**შალკე:** როსტი, ბორდონი, რაფინია, როდრიგესი, კრსტაიჩი, ჰამიტ ალტინტოპი, პაულსენი, კობიაშვილი, ლინკოლნი, სანდი (კურანი 46), ლარსენი

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

გაფრთხილება: მ. აურელიო, ალექსი, კობიაშვილი, ლუსიანო, რაფინია, როდრიგესი, ალექსი

გაძევება: ალექსი (88)

მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

### მილანი 0:0 პსვ

**მილანი:** დიდა, სტამი, კაფუ, კალაძე, მალდინი, გატუზო, პირლო, ზეიდორფი (სერჟინიო 74), კაკა, შევჩენკო (ფ. ინძაგი 49), ვიერი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

**პსვ:** გომესი, ალექსი, რაიციგერი, ოიერი, ლემე, აფელაი, სიმონსი, კოკუ, ბისლი, რობერტი (ისმაელი 63), ფარფანი

მწვრთნელი: გუუს ჰიდინკი

გაფრთხილება: რაიციგერი, ინძაგი

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ფენერბაჰჩე | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 4 |
| პსვ | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | 4 |
| შალკე | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | 2 |

## G ჯგუფი

### ჩელსი 4:0 ბეტისი

1:0 დროგბა (24), 2:0 კარვალიუ (44), 3:0 ჯო კოული (59), 4:0 კრესპო (64)

**ჩელსი:** კუდიჩინი, გალასი, კარვალიუ, ტერი, დელ ორნო, შ. რაიტ-ფილიპსი (გუდიონსენი 67), ესიენი, მაკელელე (დიარა 76), ლამპარდი, ჯო კოული, დროგბა (კრესპო 46)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

**ბეტისი:** დობლასი, ხუანიტო, ო. ლოპესი (ხისკო 46), დ. რივასი, მელი, ვარელა, რივერა, ანხელი (ასუნსაო 57), ედუ, ხოაკინი, ოლივეირა

მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი

გაფრთხილება: შ. რაიტ-ფილიპსი, დ. რივასი, ვარელა, ხუაკინი, გალასი, ხისკო, რივერა

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

### ანდერლეხტი 0:1 ლივერპული

0:1 სისე (20)

**ანდერლეხტი:** პროტო, ვანდენ ბორე, ტიინენი (ლ. ტრაორე 50), დემანი, დეშახტი (სერჰატი 75), ვილჰელმსონი, ვანდერჰაიგე (ბასეჯო 61), ზეტერბერგი, გოორი, იესტეროვიჩი, მ. მპენზა

მწვრთნელი: ფრანკ ვერკაუტერენი

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, ხოსენი, ჰიპია, ტრაორე, ლუის გარსია, ალონსო, ჰამანი, რიისე (ვორნოკი 88), სისოკო (ზენდენი 82), სისე (კოული 75)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ალონსო, რეინა

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| ლივერპული | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ბეტისი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| ანდერლეხტი | 3 | 0 | 0 | 4 | 0:3 | 0 |

## F ჯგუფი

### ლიონი 2:1 ოლიმპიაკოსი

1:0 ჟუნინიო (4), 1:1 კაფესი (84), 2:1 გოვუ (89)

**ლიონი:** კუპე, კრისი, რევეილერი, კასაპა, აბიდალი, ტიაგუ, დიარა, ჟუნინიო, გოვუ (კლემენტი 90), მალუდა (ვილტორდი 75), ფრედი (კარეუ 70)

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, ანატოლაკისი (ბაბანგიდა 90), კაპსისი, კოსტულასი, პანტოსი, ტურე, სტოლდიტისი (კონსტანტინუ 85), ბულუტი, კაფესი, ოკასი, ჯორჯევიჩი

მწვრთნელი: ტრონდ სოლიდი

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

### რეალი 4:1 რუსენბორგი

0:1 სტრანდი (40), 1:1 ვუდგეიტი (48), 2:1 რაული (52), 3:1 ელგერა (68), 4:1 ბექემი (82)

**რეალი:** კასილიასი, დიოგო, ვუდგეიტი (მეხია 85), ელგერა, რ. კარლოსი, ბექემი, პ. გარსია, ზიდანი (გრავესენი 70), ბაპტისტა (გუტი 46), რობინიო, რაული

მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო

**რუსენბორგი:** იონსენი, ბასმა, კვარმე, რისეტი, დორსინი, სტრანდი (ტეტეი 46), სკიელბერდი (ვინსენსი 75), სოლი, ბრაატენი, ჰელსტადი (ფ. იონსენი 63), სტორფლორი

მწვრთნელი: პერ-მატიას ჰიოგმო

გაფრთხილება: პ. გარსია

მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| რუსენბორგი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |

## H ჯგუფი

### პორტუ 2:0 ინტერი

1:0 მატერაცი (22ს.კ.), 2:0 მაკარტი (35)

**პორტუ:** ბაია, ემანუელი, ბოსინგვა, პეპე, ჩეხი, გონსალესი, ჟორჟინიო (იბსონი 90), ასუნსაო, კვარესმა (ივანილდო 82), ალმეიდა, მაკარტი (ალანი 60)

მწვრთნელი: კო ადრიაანსე

**ინტერი:** სეზარი, სამუელი, კორდობა, მატერაცი, ფავალი, ვერონი, პიზარო (რეკობა 53), კამბიასო, ფიგუ (ზე მარია 82), სოლარი (ადრიანო 67), კრუზი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: კრუზი, კორდობა, პეპე, ფავალი

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

### რეინჯერსი 0:0 არტმედია

**რეინჯერსი:** ვატერეუსი, როდრიგესი, რიკსენი, კირიაკოსი (ენდრიუსი 59), ბერნარდი, ნამუჩი (ბურკე 75), ფერგიუსონი, ჰემდანი, ლოვენკრანდსი, ნიეტო (ტომპსონი 37), პრსო

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

**არტმედია:** ჩობეი, დებნარი, პეტრასი, დუვიცა, ურბანეკი, ვაშჩაკი (ობზერა 68), ბორბელი, კოზაკი, ფოდრეკი, ჰალენარი (ტჩური 73), ჰარტიგი (სტანო 83)

მწვრთნელი: ვლადიმირ ვეისი

გაფრთხილება: ბერნარდი, ობზერა, პრსო, ბორბელი, ბურკე

მსაჯი: დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:2 | 6 |
| არტმედია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| რეინჯერსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| პორტუ | 3 | 1 | 0 | 2 | 6:6 | 3 |



კახა კალაძეს გოლის გატანაც შეეძლო...

# სად არის ჩელსის მძლეველი?

**ჩვენი,** ქართული ამბებით დავიწყოთ — გუშინ ვერც კახა კალაძის „მილანმა“ მოიგო და ვერც ლევან კობიაშვილის „შალკემ“, თუ მაინცდამაინც არჩევაზე მიდგა საქმე, უფრო გულდასაწყვეტი „შალკეს“ სტამბოლური ფრეა. რატომ? ერთი რომ, „მილანი“ მაინც ლიდერია, „შალკემ“ კი ბოლო ადგილიდან დაძვრის შანსი გაუშვა ხელიდან. თუმცა გელზენკირხენელები ორჯერ გაიჭრნენ წინ ლინკოლნისა და კევინ კურანის გოლებით და თურქებს ორჯერვე გაათანაბრებინეს. კიდევ იმიტომ, რომ ამ მატჩში ლევან კობიაშვილი გააფრთხილეს, ხოლო „ქართულ ამბავს“ თუ გვერდით გადავდებთ, ამ მატჩის გამოსარჩევად ისიც კმარა, რომ მეორე ტაიმის 20-წუთიან მონაკვეთში ხუთი გოლი გავიდა — იშვიათი შედეგიანობაა.

ლევან კობიაშვილზე კი დავძინოთ: ლინკოლნმა პირველი გოლი სწორედ ქართველის პასით გაიტანა. კობიაშვილის წინააღმდეგ თურქები მალიმალ უხეშობდნენ, ხოლო ორ ეპიზოდში ლევანს თავად ჰქონდა საგოლე შანსი.

კახა კალაძეზე კი ვთქვათ: თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათის თავზე ანდრეა პირლო შეეცადა კალაძის საგოლე პოზიციაზე გაყვანას, მაგრამ არ გამოუვიდა. მეორე ტაიმის დაწყებიდან შვიდ წუთში საქართველოს ნაკრების კაპიტანმა მაინც გაისროლა კარისკენ, მაგრამ ეინდჰოვენელთა მეკარე გომესმა თითის წვერებით მოიგერია მისი დარტყმული. 78-ეზე პირლოკალაძის კომბინაცია შეიძლებოდა გოლით დასრულებულიყო, მაგრამ ისევ გომესმა იმარჯვა, ქართველის დარტყმული ფეხით მოიგერია.

„მილანს“ ვერც ანდრეი შევჩენკო შეეწია რამით და მწვრთნელმა ფილიპო ინძაგით შეცვალა. მაგრამ რა — ინძაგის 2004 წლის მარტის მერე გოლი არ გაუტანია და ვერც გუშინ გაიტანა.

ტურის მატჩად მონათლული სტემფორდბრიჯული დაპირისპირება კი ნაღდ ჯახად ვერ იქცა, რა ვუყოთ, რომ „ბეტისი“ „ჩელსის“ ღირსეული მეტოქე ვერ გამოდგა. დიდიე დროგბამ, რიკარდო კარვალიუმ, ჯო კოულმა და ერნან კრესპომ ოთხი გოლით გაისტუმრეს ესპანელები, თავად კი „იუვენტუსის“ გზას არ დაადგნენ — მოგეხსენებათ, გუშინწინ „იუვემ“ პირველი მარცხი იწვნია ამ სეზონში, „ჩელსის“ დამჯაბვნელს კი გამოჩენა ეგრეც არ ეღირსა.

„ჩელსის“ ჯგუფში მოიგო „ლივერპულმა“ — სტუმრად „ანდერლეხტთან“ ჯიბრილ სისეს გოლით და რა უნდა მოხდეს, ეს ორი ინგლისური კლუბი ჯგუფიდან რომ ვერ გავიდეს.

დანარჩენი მატჩებიდან კი გამოსარჩევია „ლიონის“ ბოლო წუთზე მოგებული თამაში „ოლიმპიაკოსთან“, სიდნი გოვუს გვიანმა გოლმა ფრანგული კლუბი ქულადაუკარგავად დატოვა.

„რეალისგან“ „რუსენბორგის“ ძლევა „სანტიაგო ბერნაბეუზე“, ცხადია, არ გაგიკვირდებათ. ვეჭვ არც „ინტერის“ პორტუგალიური მარცხი იყოს მთლად დაუჯერებელი ამბავი. და „არტმედია“? ქალაქურად რომ ვთქვათ, სალოლ, ამ გუნდს — ჯერ პორტუში შეტრიალებული თამაში, ახლა კი გლაზგოში აღებული ქულა.

**კოტე კეკელია**

## დანია

თასი

მერვედფინალი

ბრონდბიუ 2:1 სილკებორგი

ოდენსე 5:2 ჰერფიოლგე

ოლბორგი 1:1 მიდტიულანდი 2:1დ.დ

ფრემი 1:1 ვიბორგი 2:2დ.დ 6:5პ.

კოლდინგი 1:1 ოდენსე 5:6პ.

ლიუნგბიუ 0:0 ესბიერგი 4:5პ.

სლაგელზე 2:2 კოპენჰაგენი 4:5პ.

## სლოვენია

თასი. III ეტაპი

ზაგორიე 0:3 დომჟალე

პუბლიკუმი 5:1 ი. გორიცა

მარიბორი 1:0 კორტე

როდარი 0:1 ნოვა გორიცა

## ესპანეთი

თასი

III ეტაპი

ეიბარი 1:0 ალავესი

## ფინეთი

თასი. VII ეტაპი

სეინაოკი 0:1 ტამპერე

იარო 0:2 ტურკუ

სიტი სტარსი 0:2 ლაჰტი

კლუბი 0:2 მიუპა

კემი 1:2 პკ-35

## ინგლისი

ვანსის თასი. I ეტაპი

ბოსტონი 2:1 ჰადერსფილდი

## ხორვატია

თასი. მერვედფინალი

ციბალია 1:3 კამენი

ნაფტასი 3:2 დინამო

ვინოგრადარი 3:2 მოსლავინა

## ნორვეგია

I დივიზიონი

გადადებული მატჩი

ოსლო 1:0 სტაბეკი

სოგნდალი 2:0 ტონსბერგი

## უეფას თასი 2005-2006

A ჯგუფი

I ტური

ლოკომოტივი 0:1 ესპანიოლი

## ავსტრია

თასი

I ეტაპი

კრესტა 1:3 რიდი

პოლტენი 2:2 ადმირა 4:3პ.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

კოკა-კოლა გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

გადადებული მატჩი

5 ტური



ზესტაფონი. 19 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური. 5 000 (ტევადობა 10 000)

## ზესტაფონი 0:4 ვიტ ჯორჯია

0:1 ფეიქრიშვილი (18), 0:2, 0:3, 0:4 მარცვალაძე (20, 23, 57)

**ზესტაფონი:** ქვაჩახია, ძამსაშვილი, შ. ლონლაძე, ბესარაშვილი (ბ. ნოზაძე 46), ს. თოდუა, განუგრავა (გ. თურმანიძე 60), ნუდნი, კ. ჩხეტიანი, გოგი ფიფია, ბ. გოცირიძე (იმედაძე 62), იონანიძე
*სათადარიგონი:* ბზიკაძე; რ. კვერნაძე, ლაფერაშვილი
**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, რაზმაძე, თ. კობიაშვილი, დ. ლომაია, გველესიანი, ფეიქრიშვილი, იმედაშვილი (ქუხილავა 89), დილმელაშვილი, ზ. სახოკია (აბშილავა 41), მარცვალაძე (ბერიაშვილი 82), ნ. გელაშვილი
*სათადარიგონი:* მუჯრიშვილი; ჯაფარიძე, გ. მელქაძე, კობახიძე
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**გაფრთხილება:** გელაშვილი (13), იმედაშვილი (17), გოცირიძე (25), ნუდნი (44), იონანიძე (61, 72), ლომაია (74), კობიაშვილი (82)

**გაძევება:** იონანიძე (72)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**ინსპექტორი:** რ. ტალიაშვილი; **დირექტორი:** შოთა ხინჩაგაშვილი

# ვისი გუნდია ზესტაფონი?

## ფეროელები პრესამ კი არა, ვიტ ჯორჯიამ გაპრესა

**ნუკრი ლოლაძე ზესტაფონიდან**

**ავდარს** არ შეუშინდა ზესტაფონელი ქომაგი და მრავლადაც მივიდა საყვარელი გუნდის საქომაგოდ. ისინი სულ მცირე, ქულას მაინც ელოდნენ, მაგრამ კარგი ვერაფერი ნახეს — ვიტელებმა ოთხი უპასუხო ბურთი გაუტანეს მასპინძლებს და იმ ავდარში სირცხვილიც დააწვიმეს.

„ზესტაფონმა“ ძალიან უსუსურად ითამაშა. მატჩი ხეირიანად არც დაწყებულიყო, მაშინვე რომ გამოჩნდა, „ვიტ ჯორჯია“ არაფერს დაუთმობდა მასპინძელს და ასეც მოხდა...

ოთარ მარცვალაძემ კი ერთხელაც დაამტკიცა, რომ საუკეთესო ფორმაშია და, მეტი რომ არ ვთქვათ, მეტ ყურადღებას იმსახურებს.

მატჩი თბილისელთა უპირატესობით დაიწყო და ასევე ჩათავდა. პირველი გოლი კი ძალიან საამო საცქერი გამოდგა: შალვა ლონლაძემ მოედნის ცენტრში დაკარგა ბურთი, თბილისელებმაც სწრაფად წამოიწყეს კონტრშეტევა, ბურთი გიორგი ფეიქრიშვილმა მოიგდო და 25 მეტრიდან ზესტაფონელთა კარის ცხრიანში ჩასვა — 0:1. ეს ამბავი მე-18 წუთზე მოხდა.

მეორე გოლამდე ბევრი ლოდინი არ დაგვჭირვებია: ამჯერად გიორგი განუგრავამ დაკარგა ბურთი გაუმართლებლად, ისევ სწრაფი, ვიტელთა ლამის საფირმოდ ქცეული კონტრშეტევა და მარცვალაძის გოლი — ოთარმა ორი მცველი ჩამოიცილა, დროული პაუზაც გააკეთა და დაწოლილ ზურაბ ქვაჩახიას აულელვებლად გაუტანა.

„ზესტაფონი“ შოკშია და „წამლად“ მესამეც გაუშვა: 23-ე წუთზე იმავ მარცვალაძემ კიდევ ერთხელ გაინავარდა მცველებში და ლამაზი, მოჭრილი დარტყმით ანგარიში გამანადგურებელი გახადა — 0:3.

რაღა ვთქვათ, 23 წუთში „ვიტ ჯორჯია“ 3:0 იგებს, კობა ჟორჟიკაშვილის „ზესტაფონი“ კი ძალიან საცოდავად გამოიყურება...

მატჩის სცენარი არც მეორე ტაიმში შეცვლილა — „ვიტ ჯორჯია“ ლაღად თამაშობს, „ზესტაფონი“ კი...

სად იყო და სად არა, ოთარ მარცვალაძემ ისევ გაიბრწყინა, თუმცა ისე როგორ იქნებოდა, ამაში მეტოქე არ „წახმარებოდა“: მან მორიგი საჩუქარი სევასტი თოდუასგან მიილო — ზესტაფონელმა ბურთი უწყინარ სიტუაციაში ჩააბარა მარცვალაძეს და 0:4.

მალევე ნიკა გელაშვილსაც შეეძლო გატანა, მაგრამ ამჯერად მეკარემ იყოჩაღა.

ზესტაფონელები ნერვებს აჰყვნენ და 72-ე წუთზე ზურაბ იონანიძე თენგიზ კობიაშვილის წინააღმდეგ უხეშობისთვის მსაჯმა მოედნიდან გააძევა.

82-ე წუთზე კი ნესტორ მუმლაძემ მატჩის გმირი შეცვალა — ოთარ მარცვალაძეს ზესტაფონელი ქომაგი ფეხზე წამოუდგა და მხურვალე ტაშით გააცილა.

### პრესკონფერენცია

პრესკონფერენციას განაწყენებულ ქომაგთა ნაწილიც დაესწრო და ჟურნალისტების გარდა კობა ჟორჟიკაშვილს კითხვები მათაც დაუსვეს. თუმც მანამდე *ნესტორ მუმლაძემ* ილაპარაკა: „პირველ რიგში, მადლობა ზესტაფონელ გულშემატკივარს, ისინი ძალიან თბილი და კორექტულები არიან. ჩემს გუნდს რაც შეეხება, ძალიან კმაყოფილი ვარ და დიდი მადლობა ბიჭებს.

*კობა ჟორჟიკაშვილი:* „შესაფასებელი ბევრიც არაფერია, „ვიტ ჯორჯიამ“ ყველაფერში გვაჯობა.

ეს გუნდი ჩემი გაკეთებული არაა, მე აქ არცერთი ფეხბურთელი არ მომიყვანია, ასე რომ...

ყველა მხრიდან გუნდი დიდ ზეწოლას განიცდის, განსაკუთრებით პრესისაგან...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 9 | 7 | 2 | 0 | 15:2 | 23 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 7 | 1 | 1 | 20:5 | 22 |
| სიონი | 9 | 7 | 1 | 1 | 15:7 | 22 |
| ბორჯომი | 9 | 7 | 0 | 2 | 18:8 | 21 |
| დინამო | 9 | 5 | 1 | 3 | 13:6 | 16 |
| ამერი | 9 | 5 | 1 | 3 | 8:7 | 16 |
| ზესტაფონი | 9 | 4 | 1 | 4 | 6:9 | 13 |
| ბათუმი | 9 | 4 | 1 | 4 | 6:6 | 13 |
| დილა | 9 | 4 | 0 | 5 | 12:10 | 12 |
| კახეთი | 9 | 4 | 0 | 5 | 9:13 | 12 |
| კოლხეთი | 9 | 4 | 0 | 5 | 5:9 | 12 |
| ცხინვალი | 9 | 3 | 0 | 6 | 6:12 | 9 |
| ტორპედო | 9 | 2 | 2 | 5 | 6:9 | 8 |
| სოხუმი | 9 | 2 | 1 | 6 | 9:20 | 7 |
| სპარტაკი | 9 | 1 | 1 | 7 | 1:10 | 4 |
| თბილისი | 9 | 0 | 0 | 9 | 2:17 | 0 |



ვიტელი ოთარ მარცვალაძე (№22) ზესტაფონელებმა ვერაფრით შეაჩერეს



„ვიტ ჯორჯიამ“ „ზესტაფონს“ ურტყა და ურტყა

# მძიმე წყალი

## მსაჯების გამლახველები მაგრად გაილახნენ



გადრი კაიშაურის ფოტო

გელა ფანჩულიძე

**გუშინ** ფეხბურთის ფედერაციაში სადისციპლინო კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა. დისციპლინარებმა უმთავრესად ტყიბულში, საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის მატჩისას მომხდარ ინციდენტზე იმსჯელეს, მოუსმინეს ორივე მხარეს და ვერდიქტიც ჩვენი, ჟურნალისტების თანდასწრებით გამოიტანეს. ბოლოს კი სხვა დარღვევებისთვის დასჯილთა ვინაობაც გვამცნეს.

ერთი სიტყვით, მივყვეთ თანმიმდევრობით...

რა მოხდა ტყიბულში? პირველი ლიგის მე-9 ტურის მატჩში „მეშახტე" თბილისის „მერანს" მასპინძლობდა. ტყიბულელები 1:0-ს იგებდნენ, აყალმაყალის საფუძველიც, ერთი შეხედვით, რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ... აი, რას წერს პატაკში მატჩის ინსპექტორი ჯემალ გაბისონია: „მატჩი არანორმალურ ვითარებაში ჩატარდა, თამაშის განმავლობაში „მეშახტეს" მწვრთნელები და ფეხბურთელები აგინებდნენ მსაჯებს, განსაკუთრებით მთავარი მწვრთნელი დავით გვენეტაძე და ადმინისტრატორი ავთანდილ აბულაძე აქტიურობდნენ. ისინი, ჯერ ერთი, რომ შესვენებისას მსაჯთა ოთახში შემოგვივარდნენ, მეორეც, მაყურებლის პროვოცირებას ცდილობდნენ. რომ არა პირადად ქალაქის გამგებელი და ტყიბულის პოლიცია, ვინ იცის, კიდევ რა დღე დაგვადგებოდა".

გაბისონიას გარდა დისციპლინარებს მაგიდაზე არბიტრ დავით სანაიასა და თანამსაჯების, ბუიშვილხელაძის მოხსენებითი ბარათებიც ედოთ, რომელთა არსიც თითქმის იგივე იყო.

სხდომაზე „მეშახტეს" მთავარი მწვრთნელი დავით გვენეტაძე, ადმინისტრატორი ავთანდილ აბულაძე და ფეხბურთელები, გელა ფანჩულიძე და გულად კალანდაძე იყვნენ დაბარებულნი, მაგრამ მათ ნაცვლად გუნდის მეორე მწვრთნელი მერაბ ბაბუხადია და ტყიბულის გამგებლის მოადგილე, იმავდროულად „მეშახტეს" ვიცე-პრეზიდენტი ლევან დოხნაძე გამოცხადდნენ. სწორედ მათ უწევდათ პასუხის გაცემა სტკ-ის თავმჯდომარის, ტატო ლასხიშვილის კითხვაზე, ვიდრე ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას, თქვენ თავად რა ფორმით დასჯით დამნაშავეებსო. ლევან დოხნაძემ თქვა, თამაშზე არვყოფილვარ, თუმც საქმის კურსში ვარ და, რა თქმა უნდა, კლუბის უფროსობა აუცილებლად იმსჯელებს მათ ნამოქმედარზეო.

მოკლედ, ახლა დისციპლინართა ვერდიქტზე ვთქვათ: „მეშახტეს" ფეხბურთელ გელა ფანჩულიძეს, რომელიც 87-ე წუთზე გააძევეს მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს, ფანჩულიძეს ჯარიმის სახით 125 ლარის გადახდაც მოუწევს. იგივე თანხით, ოღონდ უფრო მკაცრად დაისაჯა ფეხბურთელი გულად კალანდაძე — მას ნამატჩევს მსაჯისთვის სახეში წყლის შესხმა 7-მატჩიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა, მისი ქმედება კი ხულიგნურ საქციელად შეფასდა. მთავარი მწვრთნელი დავით გვენეტაძე და ადმინისტრატორი ავთანდილ აბულაძე 8-8 თამაშით „დაისვენებენ", ჯიბე კი 150-150 ლარით შეუთხელდებათ. დაისაჯა გუნდიც — „მეშახტე" სადისციპლინო კოდექსის 1.3 პუნქტის თანახმად, მსაჯის ცემისთვის 1 000 ლარს გადაიხდის, ხოლო სტადიონს სეზონის ბოლომდე, 2006 წლის 31 მაისამდე მიეცა პირობითი დისკვალიფიკაცია. ახლა კი თავად განსაჯეთ, რამდენად ლმობიერი ან მკაცრია დისციპლინართა ვერდიქტი.

სხდომის დამთავრების შემდეგ კომენტარი „მეშახტეს" ვიცე-პრეზიდენტ ლევან დოხნაძეს ვთხოვეთ: „სადისციპლინო კომიტეტის ვერდიქტი სამართლიანია. რაც მოხდა, არ უნდა მომხდარიყო. შესაბამის ზომებს ჩვენც მივიღებთ, დამნაშავენი შესაბამისად დაისჯებიან. კიდევ ერთხელ ბოდიშს ვიხდი კლუბის სახელით".

ბოლოს სხვა დასჯილებზეც: საჩხერის „ჩიხურას" მწვრთნელი ბადრი ბრეგვაძე საფეხბურთო კლუბ „რუსთავის" ხელმძღვანელობის სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო დაისაჯა 2 თამაშით და 150 ლარით; ქუთაისის „ტორპედოს" პრეზიდენტ გრიგოლ ხურციძეს ასეთივე სასჯელი ზესტაფონში მსაჯ ავთანდილ ორდინიძის გინებისთვის ერგო; მე-10 ტურის „ვიტ ჯორჯია" — „ბორჯომის" მატჩში მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ბორჯომელი რევაზ გეწაძე 2 თამაშით და 300-ლარიანი ჯარიმით დაისაჯა, ხოლო ვიტელი პავლე დათუნაიშვილი 2 თამაშით და 200 ლარით, მან მეტოქე გუნდის ფეხბურთელს აგინა. დაისაჯა ლანჩხუთის „გურიაც" — „ჩიხურასთან" მატჩში მოედანზე ვიღაცამ ბლაგვი საგანი ისროლა, რამაც გუნდი 125 ლარით აზარალა.

**გიორგი ვაშაძიძე**

# შოთას ალკმაარს აღმოსავლეთში უჭირს?



*ᲓᲦᲔᲡ შოთა არველაძის „ალკმაარს" უეფას თასის ჯგუფური ეტაპი ეწყება — პირველ ტურში ლუის ვან გაალის გაწვრთნილი გუნდი სტუმრად თამაშობს უკრაინულ „დნიპროსთან".*

*როგორც უკრაინული პრესა იუწყება, დნიპროპეტროვსკის „მეტეორის" სტადიონი გაივსება, მატჩს 24 ათასი მაყურებელი დაესწრება.*

*ევგენი კუჩერევსკის „დნიპრო" ახლა მაინცდამაინც კარგ ფორმაში როდია, თექვსმეტგუნდა უკრაინის ჩემპიონატში მეთორმეტე ადგილზეა, მაგრამ „ალკმაართან" ალბათ გაათმაგებული ჟინით ითამაშებს.*

*„ალკმაარი" გუშინ ჩავიდა დნიპროპეტროვსკში და შოთა არველაძესაც იქ დავუკავშირდით...*

— ჰოლანდიასთან შედარებით აქ ძალიან ცივა. დღეს ვან გაალმა ჯერ თეორიული მეცადინეობა ჩაგვიტარა, მერე კი ვივარჯიშეთ.

**— უეფას თასის პირველ ეტაპზე რუსულ „კრილიასთან" ძალიან გაგიჭირდათ, სამარაში 3:5 წააგეთ და ისე ჩანს, თითქოს აღმოსავლეთ ევროპაში „ალკმაარს" ძალიან უძნელდება თამაში...**

— ვნახოთ, ეს „დნიპროსთან" კარგად გამოჩნდება, რაც მთავარია, ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული არავინ გვყავს. ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში პსვ-სთან 0:3 კი დავმარცხდით, მაგრამ უფრო ჩვენ ვითამაშეთ ცუდად, ვიდრე მეტოქემ გვაჯობა, თანაც კაცი გაგვიძევეს... „დნიპროზე" კი ჯერ ვერაფერს გეტყვით.

**დავით თავართქილაძე**

# სახვაძე ირანულად გათავისუფლდა

**ᲓᲦᲔᲡ-ᲮᲕᲐᲚ** თბილისის „დინამო" კიდევ ერთ ფეხბურთელს, ირანული „საბა ბათერიდან" წამოსულ არჩილ სახვაძეს დაიმატებს და ალბათ უახლოეს მატჩში, კვირას, ქუთაისის „ტორპედოსთან" ათამაშებს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ირანელებმა სახვაძე უკვე ოფიციალურად გაათავისუფლეს და „დინამოს" ამ ფეხბურთელის საჩემპიონატო განაცხადში შეყვანა დარჩა მოსაგვარებელი. თბილისელებმა „საბა ბათერიდან" არჩილის განთავისუფლების დასტური უკვე მიიღეს, თუმც საბუთი ირანულ ენაზეა შედგენილი და „დინამო" ახლა ტექსტის ინგლისურ ვარიანტს ელის, რაც, ირანელთა თქმით, დღეს გამოიგზავნება.

შეგახსენებთ, არჩილ სახვაძე ყოფილი დინამოელია, კლუბი მან ორი წლის წინ დატოვა და რამდენიმე უშედეგო უცხოური ტრანსფერის შემდეგ ფეხი ირანში მოიკიდა. „საბა ბათერს" ის სექტემბერში დაშორდა და თბილისში დაბრუნებულმა ისევ „დინამოს" მიაკითხა.

აქვე გეტყვით, რომ თბილისშია ასევე ყოფილი დინამოელი ლადო ახალაიაც, რომელმაც კლუბის ხელმძღვანელობას უკვე მიმართა გუნდში ჩარიცხვის თხოვნით. თუმც ლადოს შვეიცარიულ „ციურიხთან" კონტრაქტი დეკემბრამდე აქვს და იქამდე მისი გადინამოელება გამორიცხულია. ახალაიას შვეიცარიიდან წამოსვლის მიზეზი კი მწვრთნელთან კონფლიქტია.

**ლუკა თალაკვაძე**

# ილია კანდელაკი: ქართველმა მეტოქის მოტყუება არ იცოდეს, სად გინახავთ?

*23 წლის ᲘᲚᲘᲐ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ ამ ზაფხულს გადავიდა თბილისის „დინამოდან" ოდესის „ჩერნომორეცში" და უკრაინული მედიის ცნობით, სემიონ ალტმანის გუნდში ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელად იქცა. „ზივ ზაგა" ოდესაში საყრდენ ნახევარმცველად თამაშობს. გასულ ტურში „ჩერნომორეცმა" „კრივბასს" 2:1 მოუგო, სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე გამყარდა და ოდენ უკრაინელთა მარადიულ გრანდებს — დონეცკის „შახტარსა" და კიევის „დინამოს" ჩამორჩება.*

*უკრაინელი ჟურნალისტისა და კანდელაკის საუბარი სწორედ „კრივბასათან" თამაშით იწყება...*

— მეტოქე მაგრად დაგვიდგა და მთლიანობაში ბოლო დროს სტაბილურადაც თამაშობს, თუმცა ჩვენ ალბათ „კრივბასზე" მეტად გვინდოდა მოგება. ახლა შინ ქულების დაკარგვის დრო არაა.

**— „კრივბასში" თქვენი თანამემამულე ვასილ გიგიაძე თამაშობს და მას კარგად უნდა იცნობდეთ...**

— გიგიაძე ნაღდად ძლიერი ფორვარდია, არაფრისგან შეუძლია გოლის გატანა.

**— ნახევარდაცვის ცენტრში რუსლან გილაზევთან ქმნით ტანდემს. მასთან იოლად გამონახეთ საერთო ენა?**

— არა მარტო გილაზევთან, მთლიანად „ჩერნომორეცსაც" კარგად შევეწყვე. ადაპტაციის მხრივ პრობლემა არ შემქმნია.

**— თქვენ დრიბლინგით გამოირჩევით...**

— კი მაგრამ, სადმე გინახავთ, ქართველი ფეხბურთელი, მეტოქის ერთი-ერთზე მოტყუება რომ არ შეეძლოს?!

**— ორი ტურის წინ „ხარკოვის" ბრაზილიელ რიბეიროსთან თქვენი ორთაბრძოლა მსაჯთა კომიტეტის განსჯის საგანი გახდა. მაინც რა მოხდა იმ მომენტში?**

— ძალიან გამიკვირდა, რომ ამ ეპიზოდმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ჩვეულებრივი ბრძოლა იყო: რიბეიროს წესების სრული დაცვით წავართვი ბურთი და ამას ვიდეოფირიც დაამტკიცებს.

**— „ჩერნომორეცი" ცხრილში მესამე საფეხურზე მყარად დგას. ელოდით ასეთ შედეგს?**

— გასაკვირი რა არის?! როცა აქ მოვდიოდი, „ჩერნომორეცის" ამოცანების შესახებ ყველაფერი ვიცოდი. ჩემი აზრით, სწორედ იმ პოზიციაზე ვართ, რომელსაც ვიმსახურებთ.





# ჩემი ოქრო ჩემთან

## ფრაიბურგი იაშვილს სიყვარულში გამოუტყდა

kicker

**FREIBURG:** Positive Serie soll in Braunschweig fortgesetzt werden

**Dauerbrenner Iashvili wächst an seiner Führungsrolle**

Ist der Auswärtsknoten beim SC Freiburg geplatzt? Bei den heim- steht Alexander Iashvili, mit Boubacar Diarra zusammen dienstäl- acht Jahren vom damaligen Zweitligisten VfB Lübeck hohe

**საქართველოს** ნაკრების მწვრთნელისგან ათვალწუნებული „ფრაიბურგის“ ქართველი ფორვარდი ალექსანდრე იაშვილი მატჩიდან მატჩამდე ამტკიცებს, რომ მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. ჩვენი გერმანელი კოლეგები კი მის გარჯას სათანადოდ აფასებენ.

მაგალითად, „კიკერი“ ვთქვათ. ამ ყველაზე პოპულარული და ავტორიტეტული გერმანული სპორტული გამოცემის ნომერი არ გამოვა, „ფრაიბურგის“ ქართველ ლიდერზე, მის პიროვნულ თვისებებზე რამდენიმე სტრიქონი მაინც არ ეწეროს. „ფრაიბურგის“ გული“, „ერთგული ქართველი“, „პროფესიონალი“ — ამგვარი ეპითეტებით ხშირად მოიხსენიებენ ხოლმე ალექსანდრე იაშვილს.

ეს წერილი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, „კიკერმა“ „უნტერჰახინგ“ — „ფრაიბურგის“ მატჩის შემდეგ გამოაქვეყნა, თუმც მერე „ფრაიბურგმა“ „ზაარბრიუკენსაც“ მოუგო, იაშვილი კი ტურის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

აი, რას წერს „კიკერი“:

„ფრაიბურგის“ სული და გული, საკამათო არ არის, ქართველი ფეხბურთელი ალექსანდრე იაშვილია, აბუბაქარ დიარასთან ერთად გუნდის ყველაზე სტაჟიანი პროფესიონალი. იაშვილს წლეულს „ფრაიბურგის“ არც ერთი მატჩი არ გამოუტოვებია, გუნდს წამითაც არ დაშორებია. მაგალითად, „უნტერჰახინგთან“ ქართველმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა (2:2), შემდეგ კი თავის გუნდს პენალტის უფლება მოუპოვა და „ფრაიბურგმაც“ მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა.

მეორე ბუნდესლიგის საწყის მატჩებში ალექსანდრე იაშვილი ცოტა შებოჭილად გამოიყურებოდა. 27 წლის თავდამსხმელს გუნდის ახალ სათამაშო ტაქტიკასთან შეგუება გაუჭირდა, რადგან მწვრთნელმა ორკაციანი თავდასხმის ხაზი შეცვალა და „ფრაიბურგის“ შეტევას ახლა რომბის სახე აქვს.

„ის არ არის კლასიკური თავდამსხმელი, არც ტარანის ტიპის ფორვარდი, იაშვილი წინა ხაზის საუკეთესო გამთამაშებელია“ — ამბობს მწვრთნელი ფოლკერ ფინკე, რომელმაც იაშვილი ფრაიბურგში რვა წლის წინ ლიუბეკიდან ჩაიყვანა.

ალექსანდრე იაშვილის პიროვნულ თვისებებზე ძალიან ბევრის თქმა შეიძლება, თუმც აქ ის აღვნიშნოთ, რომ მას უზომოდ უყვარს ფეხბურთი და მეგობრები: „უმნიშვნელოვანესია, რომ ყოველი მატჩისას ერთმანეთს ვამხნევებთ, საკუთარ შესაძლებლობებში ვარწმუნებთ და ერთმანეთის ანუ საერთო გუნდურ საქმეს ვაკეთებთ“ — ამბობს პატარა ქართველი, ვისაც, ზოგადად, თავის გოლებზე ორჯერ მეტი საგოლე პასი აქვს გაკეთებული და, ვინც „ფრაიბურგი“ უკვე ორჯერ გადაიყვანა ბუნდესლიგაში.

ამ სეზონის წინ კი ის გუნდის კაპიტნად აირჩიეს. „მშვენიერია, როცა იცი, რომ გუნდი გენდობა“ — თქვა კაპიტნის სამკლავურის მიღების შემდეგ ქართველმა. მწვრთნელი ფოლკერ ფინკე კი ადასტურებს: „იაშვილს ყველაფერი კარგად გამოსდის, ის „ფრაიბურგის“ ნამდვილი ლიდერია და ბიჭები მას ყველაფერს უჯერებენ. იაშვილს ჩვენთვის ოქროს ფასი აქვს“.

# გილაური დაათაბაშირეს

## აქვსენტი ჯაბასთან

*2-3 წლის წინ სპარსეთი ახალი ნავსაყუდელი გამოდგა იმ ქართველი ლეგიონერებისთვის, რომლებიც უცხოეთში უკეთესი პირობების გამო მიდიან. ირანში არცთუ ცოტა ქართველი ფეხბურთელი წავიდა და რამდენიმე მათგანი უკანვე გამობრუნდა — ზოგი დაიწუნეს, ზოგიც იქაური ცხოვრების წესებს ვერ შეეგუა.*

*ახლა ირანში ორი ჩვენებურიღა თამაშობს — ჯაბა მუჯირი და აქვსენტი გილაური, ვისაც გუშინ ინტერვიუ ჩამოვართვით...*

— აქ ცხოვრება თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ თანდათან შევეჩვიე და ახლა თეირანში თავს კარგად ვგრძნობ, სპარსული ენაც ავითვისე.

**— შენი გუნდის, თეირანის „ესტეგლალის“ პატრონი ვინაა?**

— „ესტეგლალი“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და ერთ-ერთი მდიდარი კლუბია ირანში, ტიტულებით კი აქ ყველას აღემატება.

**— ირანის ჩემპიონატის წინა ტურში ჯაბა მუჯირის ისპაჰანის „სეპაჰანს“ ეთამაშეთ...**

— 0:1 წავაგეთ, მეც და ჯაბაც სასტარტოში ვიყავით, მაგრამ მეორე ტაიმში ისეთი ტრავმა მივიღე, შესაცვლელი გავხდი — აღმოჩნდა, რომ კოჭი გამებზარა და ახლა თაბაშირში მაქვს ჩასმული. ფიზიოთერაპიას ვიტარებ და ექიმების თქმით, ვარჯიშს თვენახევარში განვაახლებ.

**— ირანში ლეგიონერები კვლავაც მრავლად არიან?**

— საკმაოდ. უმეტესად ნიგერიელები, ბრაზილიელები და სერბები. „ესტეგლალში“ კი მე ერთადერთი ლეგიონერი ვარ.

**— საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მეტწილად მარჯვენა ნახევარმცველად თამაშობდი და „ესტეგლალშიც“ ასეა?**

— არა, აქ სულ მარცხენა ნახევარმცველად ვთამაშობ.

**— „ესტეგლალს“ კიდევ რამდენი ხნით ეკუთვნი?**

— კონტრაქტი მქვს ივნისში მთავრდება, ირანული კლუბებიდან ბევრი შემოთავაზება მაქვს და ალბათ, დავტოვებ „ესტეგლალს“ სავარაუდოდ, ჯაბა მუჯირის „სეპაჰანში“ გადავალ.

**— „ესტეგლალის“ საშინაო მატჩებზე ბევრი გულშემატკივარი დადის?**

— 40-50 ათასი, მაგრამ როცა თეირანული დერბი გვაქვს „პერსეპოლისთან“, სტადიონზე 100 ათასი კაცი მოდის. ისე კი, „აზადის“ სტადიონი 110 000 მაყურებელს იტევს.

**— ირანში ქართველებისთვის ბევრი უცნაური წეს-ჩვეულება კია, მაგრამ მობილური ტელეფონის სიმბარათი ძალიან ძვირი რატომ ღირს?**

— იმ ფიჭური კომპანიის სიმბარათი, რომელიც მე მაქვს, 100 დოლარი ღირს. რატომ არის ასე, ვერ გეტყვით, მაგრამ სიმბარათი ნებისმიერ დროს შეგიძლია უკან დააბრუნო და ზუსტად 100 დოლარსაც დაგიბრუნებენ. აქ ასეთ ძვირ სიმბარათს ყველა ყიდულობს, რადგან ხალხს არ უჭირს, ირანში ხალხი ბევრად უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე საქართველოში.

**დავით თავართქილაძე**



# პაპინიე მე ასე

**გიხაროდენ:** საქართველოს ნაკრებმა ხანგრძლივი ჯახირის შემდეგ მოახერხა და, ფიფა-კოკა-კოლას რეიტინგში მეასე ადგილამდე აღზევდა.

მოკლედ, საქართველომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ასეულში ჩაამთავრა და ვფიქრობთ, ეს ამბავი მეტ გავრცობას აღარ იმსახურებს...

ჩვენს აწ უკვე ყოფილ მეტოქეთაგან საუკეთესო, მე-11 ადგილზე თურქეთია, ჯგუფის გამარჯვებული უკრაინა კი თავის ისტორიაში არნახულ 39-ე საფეხურზეა.

რეიტინგს კი, რა თქმა უნდა, ბრაზილია ლიდერობს 840 ქულით.

**ბახა შალამბერიძე**

Coca-Cola FIFA WORLD RANKING

| I | II | III | IV | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | (1) | ბრაზილია | 840 | 14 | (14) | *დანია* | 730 |
| 2 | (3) | ჰოლანდია | 797 | 15 | (15) | გერმანია | 712 |
| 3 | (4) | ჩეხეთი | 783 | 16 | (16) | იაპონია | 711 |
| 4 | (3) | არგენტინა | 778 | 17 | (25) | ურუგვაი | 709 |
| 5 | (6) | საფრანგეთი | 776 | 18 | (20) | *საბერძნეთი* | 706 |
| 6 | (5) | მექსიკა | 769 | 19 | (24) | ხორვატია | 702 |
| 7 | (7) | აშშ | 768 | 20 | (19) | კოსტა რიკა | 700 |
| 8 | (8) | ესპანეთი | 764 | 39 | (39) | *უკრაინა* | 636 |
| 9 | (11) | ინგლისი | 754 | 85 | (86) | *ალბანეთი* | 517 |
| | (9) | პორტუგალია | 754 | 100 | (104) | საქართველო | 462 |
| 11 | (12) | *თურქეთი* | 743 | 140 | (146) | *ყაზახეთი* | 320 |
| 12 | (13) | იტალია | 736 | | | | |
| 13 | (10) | შვედეთი | 733 | | | | |

I სვეტი – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი III ტური

## დიდი დაისლერი



ტურინელებს მეორე გოლი მარტინ დემიკელისმა გაუტანა

AFP მიუნხენიდან

### A ჯგუფი

**ბაიერნი 2:1 იუვენტუსი**

1:0 დაისლერი (32), 2:0 დემიკელისი (39), 2:1 იბრაჰიმოვიჩი (90)
**ბაიერნი:** კანი, ლუსიო, სანიოლი, ისმაელი, ლიზარაზუ (შვაინშტაიგერი 30), დაისლერი, დემიკელისი, ბალაკი, ზე რობერტო, მაკაი, სანტა კრუზი (შოლი 88)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
**იუვენტუსი:** აბიატი, ბლაზი (კიელინი 46), კანავარო, ტურამი, ძამბროტა, კამორანეზი (დელ პიერო 46), ემერსონი, ჟანიკედა, ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი, ტრეზეგე (მუტუ 66)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ჟანიკედა, ტურამი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
66 000 მაყურებელი

**სებასტიან დაისლერისა** და მარტინ დემიკელისის მიერ იტალიელებთან პირველ ტაიმში გატანილი გოლებით „ბაიერნმა“ „იუვენტუსს“ მარშანდელ ლიგაში განცდილი მარცხისთვის რევანში აუღო. მატჩის მიწურულს ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ერთი ბურთი კი შეაგდო, მაგრამ გვიანი იყო.

**A** ჯგუფის ლიდერთა მატჩში მოედანზე თავიდან გერმანელები გაბატონდნენ. „ბაიერნმა“ პირველ ოთხ წუთში ორი სახიფათო ეპიზოდი შექმნა, თუმცა ვერც როკე სანტა კრუზმა და ვერც როი მაკაიმ „იუვენტუსის“ მეკარის დაჩაგვრა ვერ მოახერხეს. ცოტა მერე კი კრისტიან აბიატიმ ბალაკის უძლიერესი საჯარიმო დარტყმა უკუაგდო. იტალიელები მინდვრის ცენტრში სუსტად ბურთაობდნენ — დემიკელისის ზუსტმა თამაშმა პაველ ნედვედსა და მის პარტნიორებს გასაქანი სივრცე დაუხშო.

მაგათის ბიჭებმა კი პირიქით, მონდომება გაიორმაგეს და 32-ე წუთზე „იუვეს“ კარში პირველი გოლიც გავიდა. დაისლერი მსაჯზე ასხლეტილ ბურთს დაეპატრონა, მარჯვნიდან შეიჭრა და საჯარიმოში ჩაწოდების ნაცვლად პირდაპირ აბიატის მისადგომებისკენ გაისროლა. „ალიანს არენას“ მომხვდურთა მეკარე ამას არ ელოდა და ტაბლოზეც 1:0 აინთო. შვიდი წუთის მერე იგივე დაისლერმა კუთხური ჩააწოდა და არგენტინელმა დემიკელისმაც სავსებით დაახვედრა თავური — 2:0.

შესვენების შემდეგ სტუმართა დამრიგებელმა კაპელომ კამორანეზის ნაცვლად მოედანზე დელ პიეროს უხმო. სწორედ მან შექმნა თავისი გუნდის პირველი სახიფათო ეპიზოდი — მე-60 წუთზე დელ პიეროს საჯარიმო გასროლას ოლივერ კანი იგერიებს მერე კონტრშეტევაზე მაკაიმ ძელს დაარტყა ბურთი. 90-ე წუთზე კი აპენინელთა შვედმა იბრაჰიმოვიჩმა პრესტიჟის გოლი გაიტანა.

„პირველ ტაიმში შესანიშნავად ვითამაშეთ, თუმც „ბაიერნის“ მოიერიშეთა შედეგიანობით კმაყოფილი მაინც ვერ დავრჩი. მესამე ბურთიც უნდა შეგვეგდო და ყოველგვარი ეჭვები თავიდანვე გაგვეფანტა. იმედი მაქვს, ჩემპიონთა ლიგას სწორედ ჩემი გუნდი მოიგებს“ — აღნიშნა ბავარიელების მწვრთნელმა მატჩის შემდგომ.

„ბაიერნთან“ „ალიანს არენაზე“ წაგებაში სატრაგიკოსა და მოულოდნელს ვერაფერს ვხედავ. კარგი გაკვეთილი მივიღეთ და „დელე ალპის“ საპასუხო ჯახში გერმანელებს აუცილებლად გავუსწორდებით“ — თქვა „იუვეს“ თავკაცმა ფაბიო კაპელომ.

**რაპიდი 0:1 ბრიუგე**

0:1 ბალაბანი (75)
**რაპიდი:** ტეიერი, დობერი (ბიდენი 54), ვალახოვიჩი, ბეიბლი (მარტინეკი 73), ადამსკი, ჰოფმანი, კორსოში, ჰლინკა, ივანშიტცი, კინსლი, ლოურ (აკაგუნდუზი 73)
მწვრთნელი: იოზეფ ჰიკერსბერგერი
**ბრიუგე:** ბუტინა, სპილარი, ვანაუდენაერდე, მარტენსი (ვერბეიენი 70), ბლონდელი, ვერმანტი, კლემენტი, ლეკო, დუფერი (როელანდტსი 90), პორტილიო (ენგლებერტი 70), ბალაბანი
მწვრთნელი: იან კულემანსი
გაფრთხილება: დობერი
მსაჯი: სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)
46 000 მაყურებელი

**ბელგიელებმა** „რაპიდთან“ გასვლით თამაშში ერთი ბურთით იხეირეს და ჯგუფიდან გაღწევის შანსი შეინარჩუნეს. 75-ე წუთზე ბოშკო ბალაბანმა თითქოს მოუხერხებლად დაარტყა, ოღონდ საჭირო გოლი კი გაიტანა და „ბრიუგე“ 3 ქულა გაუფორმა.

ავსტრიული შერკინება დაძაბული გამოდგა და მოგება ორივე გუნდს შეეძლო. უკვე მეორე წუთზე ბალაბანმა მასპინძელთა კარის გასწვრივ ჩააწოდა, თუმცა ხავიერ პორტილიომ ბურთს ვერ მიუსწრო. სამი წუთის მერე დამხვდურებმაც შეუტიეს, მაგრამ ბუტინამ „ბრიუგე“ გაშვებულ გოლს გადაარჩინა. 24-ე წუთზე კინსლმა გაისროლა სახიფათოდ, რასაც უმალ მეტოქის პასუხი მოჰყვა — დუფერის დარტყმა „რაპიდის“ გოლკიპერმა პაიერმა უკუაგდო. პირველი ტაიმის მიწურულს ავსტრიელებმა სტუმართა საჯარიმოსთან ნამდვილი ჯოჯოხეთი მოაწყვეს. თუმცა ადგილობრივი ფანობის სამწუხაროდ, ბელგიელთა კარში ბურთი არ შევარდა.

მეორე ტაიმში არაფერი შეცვლილა — ივანშიტცის ბელადობით „რაპიდი“ „ბრიუგეს“ დაცვას აოხრებს. ავსტრიის ნაკრების ფეხბურთელმა კინსლი ორჯერ გაასეირნა“ საგოლე პოზიციაზე. პირველად ჩეხს ბუტინა გადაეღობა წინ. მეორედ „ბრიუგეს“ კარის ძელი... მიუხედავად ამ ყველაფრისა, დუფერ-ბალაბანის კომბინაციის მერე გამარჯვებით მაინც სტუმარმა გაიხარა. „რაპიდი“ დღეს უნუგეშო მდგომარეობაშია — ჯგუფური სამი შეხვედრიდან ერთი ქულაც ვერ აიღო.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 4:1 | 9 |
| იუვენტუსი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| ბრიუგე | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| რაპიდი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

## დუბლები არქივში ნაპოვნი ბერძენი



პრაღაში ტიერი ანრი „არსენალის“ რეკორდსმენი გახდა

AFP პრაღიდან

### B ჯგუფი

**სპარტა 0:2 არსენალი**

0:1, 0:2 ანრი (21, 74)
**სპარტა:** ბლაჟეკი, პეტრუსი, პერგლი (მატუსოვიჩი 70), ლუკასი, კადლეცი, პოსპეში, ჟელენკა, პეტრასი, კისელი, პოლაჩეკი, სლეპიჩკა (დოსეკი 77)
მწვრთნელი: სტანისლავ გრიგა
**არსენალი:** ლემანი, ტურე, ლორენი, სიგანი, კლიჩი, ფაბრეგასი (აბეიე 89), ფლამინი, ჟილბერტო, პირესი, ვან პერსი (ებუ 73), რეიესი (ანრი 15)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ლუკასი, ვან პერსი, კლიჩი
მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)
12 528 მაყურებელი

**მეორე გოლი** რომ გაიტანა, ანრიმ ჰაერში 186 მოხაზა, რაც იან რაიტის რეკორდის დამხობას ნიშნავდა: „სპარტას“ ფანები ალბათ ვერ მიხვდნენ, რას ვაკეთებდი, მგონი, კარგად ჟღერს: ტიერი ანრი, „არსენალის“ რეკორდსმენი — თქვა ფრანგმა ნამატჩევს — რაიტი უდიდესი ფეხბურთელი იყო და დარჩება კიდეც გუნდის ლეგენდად. მე კი მეამაყება, რომ მას გადავასწარი. ამის გაკეთება „ჰაიბერიზე“ მსურდა, მაგრამ რადგან შანსი მომეცა, გამოვიყენე. „ვესტ ბრომვიჩთან“ მარცხის შემდეგ „სპარტასთან“ მოგება ჰაერივით გვჭირდებოდა. ტრავმის გამო პრაქტიკა მაკლდა, თუმც როგორც კი მოედანზე ფეხი დავდგი, ვიგრძენი, რომ აუცილებლად გავიტანდი“.

არსენ ვენგერი ანრის თამაშის ბოლო ნახევარი საათისთვის ამზადებდა, მაგრამ ხოსე ანტონიო რეიესი მეთხუთმეტე წუთზე დაშავდა და მწვრთნელმაც თვისტომის შეყვანა გადაწყვიტა.

„ნაადრევად არ ვაპირებდი რეიესის ანრით შეცვლას, რადგან 37-დღიანი მკურნალობის შემდეგ სრული დატვირთვით არ უვარჯიშია. როცა ვუთხარი, სათამაშოდ გაემზადე-მეთქი, დაბნეული მიყურებდა, მაგრამ შევიდა თუ არა მოედანზე, ეტყობოდა, გოლის გატანა სწყუროდა და კიდეც გაიტანა. ადრე მეგონა, რომ რაიტის რეკორდს ვერავინ დაამხობდა, მაგრამ ანრიმ მოახერხა. თან რაიტი 34-ის იყო, როცა 185 გოლის უწია, ტიერი ანრი კი ჯერ 28 წლისაა“, განაცხადა არსენ ვენგერმა.

პრაღელებს ფაქტობრივად ნაღდი საგოლე მომენტი არც შეუქმნიათ. იენს ლემანმა სულ ორჯერ და იოლად მოიგერია პოსპიშისა და კისელის დარტყმული ბურთები. არც „არსენალს“ გადაუთელავს მეტოქის ნახევარი, მაგრამ ტიერი ანრის ორი კოხტა გოლი სამი ქულისთვის საკმარისი იყო.

**აიაქსი 2:0 თუნი**

1:0, 2:0 ანასტასიუ (36, 55)
**აიაქსი:** სტეკელენბურგი, ტრაბელსი, გრიგერა, მადურო, ემანუელსონი, დე იონგი, გალაშეკი, პიენაარი (ბუხარი 84), სნეიდერი, როსალესი (ჰეიტინგა 90), ანასტასიუ (ბაბელი 82)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
**თუნი:** იაკუპოვიჩი, დეუმი, ორმანი, მილიჩევიჩი, გონსალეში, ლეანდრო, ადრიანო (სენი 74), აეგეტერი, ფერეირა, გელსონი (დურუზი 84), ლუსტრინელი (ომარ ფეი 84)
მწვრთნელი: ურს შიონბერგერი
მსაჯი: რობერტო როსეტი (იტალია)
50 000 მაყურებელი

**„თუნის“** მწვრთნელ ურს შიონენბერგს ძალიან ეიმედებოდა გუნდისა და ამსტერდამში ქულის აღებას გეგმავდა, თუმც დენი ბლინდმა „არქივიდან ამოიღო“ 32 წლის ანასტასიუ, რომელმაც ანრისავით დუბლი შეასრულა.

იოანის ანასტასიუ გასულ სეზონის შემდეგ „აიაქსიდან“ წასვლას აპირებდა, რადგან კონტრაქტი დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტი გახდა, მაგრამ ბლინდმა არ გაუშვა, ეს კაცი კიდევ გამოგვადგებაო. მწვრთნელი არ შემცდარა, როცა რაიან ბაბელს და მარკუს როზენბერგს ბერძენი ამჯობინა და ძირითად შემადგენლობაში გაამწესა.

„მე კარგად ვიცი, რა შეუძლია ანასტასიუს და თავიდან ამიტომაც ვათამაშე — თქვა ბლინდმა — ასეთ მატჩებში მისი ყაიდის ფორვარდი მისწრებაა. ამ შეხვედრის მოგება აუცილებლად გვჭირდებოდა, რათა ჯგუფიდან გასვლის შანსი შეგვენარჩუნებინა“.

იოანის ანასტაისიუმ პირველი ტაიმის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე გახსნა ანგარიში. საპენალტე ნიშნულთან მიიღო ბურთი და მცველთან ჯაჯგურში ახლო კუთხეში ზუსტად დარტყმა მაინც მოახერხა. მეორე ნახევრის დასაწყისში კი ბერძენმა მცველის შეცდომით ისარგებლა და მეორე შეაგდო, შეხვედრის მიწურულს მესამის გატანაც შეეძლო, მაგრამ ბურთი მცველს „დაუმიზნა“. ანასტასიუ ამის შემდეგ შეცვალეს და გულშემატკივრებმაც მისთვის ტაში არ დაიშურეს.

სტუმართა ფორვარდ მარიო ლუსტრინელიმ, რომელსაც ამ სეზონში ცხრა გოლი მოუგროვდა, სამი ნაღდი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. ერთხელ კარს ააცილა, ორჯერ კი მეკარემ აჯობა.

„ჩვენ ქულის წაღება გვსურდა, მაგრამ ისე არ გამოვიდა, როგორც ჩავიფიქრეთ — განაცხადა ურს შიონენბერგერმა — მეორე გოლის შემდეგ გათანაბრების შანსი აღარ გვქონდა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| აიაქსი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| თუნი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| სპარტა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი III ტური

**C ჯგუფი**

**პანათინაიკოსი 0:0 ბარსელონა**

**პანათინაიკოსი:** გალინოვიჩი, ბისკანი, ვინტრა, მორისი, დარლასი, ნილსონი, კონსტანტოუ, გონსალესი (მაზდომბულისი 76), სერიჩი (ვუტერი 88), მანციოსი, ტორგელე (ლინტონი 59)
**მწვრთნელი:** ალბერტო მალესანი
**ბარსელონა:** ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი, ვან ბომელი (მოტა 56), ხავი (ინიესტა 76), დეკო, ლარსონი (მესი 67), ეტოო, რონალდინიო
**მწვრთნელი:** ფრანკ რაიკაარდი
**გაფრთხილება:** ტორგელე, ვან ბომელი, სერიჩი, ხავი
**მსაჯი:** ფრანკ დე ბლეკერე (ბელგია)
65 000 მაყურებელი

## ელადამ ბარსას მშრალად უმასპინძლა




AFP ათენიდან

სამუელ ეტოომ და კომპანიამ ბერძნებს ვერაფერი დააკლეს

**ბერძნულ-კატალონიური** ჯახი უგოლო ფრით დასრულდა. სამშაბათ სალამოს მოწინააღმდეგეების მეკარეებს ბევრი საქმე ნამდვილად არ ჰქონდათ, ხოლო სტუმართა ლიდერი რონალდინიო უჩვეულოდ სუსტად გამოიყურებოდა. „პანათინაიკოსის" დაცვაში ოლიმპიური სტადიონის ფანებმა კაპიტან იანის გუმასის ნაცვლად მოულოდნელად იგორ ბისკანი იხილეს, მომხვდურთა მწვრთნელმა რაიკარდმა კი ბერძნებთან ომში ლეო მესის ტალანტს ჰენრიკ ლარსონის გამოცდილება ამჯობინა.

თამაში მასპინძლების იერიშებით დაიწყო და „ბარსას" გოლკიპერ ვალდესსაც შანდორ ტორგელეს სახიფათო დარტყმის მოგერიება მოუხდა. თუმც ელინთა თავდაპირველი შეტევების მერე რაიკაარდის შეგირდებიც გამოცოცხლდნენ. მალე ლარსონმა „პანათინაიკოსის" უკანა ხაზი გაარღვია და ბურთი ეტოოს გადააწოდა, მაგრამ აფრიკელის გასროლილი არაზუსტი გახლდათ. შემდეგ დეკომ ბერძენთა საჯარიმოში ჩასაფრებული ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი დროულად მოძებნა, ოღონდ მიზანში ვერც ჰოლანდიელმა მოარტყა...

მატჩის მეოცე წუთზე ტორგელემ მანციოსს კარგად უპასა, მაგრამ ამ უკანახაზელმა ფეხის ხეირიანად მოქნევა ვერ შეძლო და ბურთი პირდაპირ ვიქტორ ვალდესს მოარტყა. კატალონიელთა კარის დალაშქვრა, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერც ლუკას ვინტრამ და ფილიპოს დარლასმა მოახერხეს.

შესვენების შემდეგ ოციოდ წუთის განმავლობაში ბურთის და მოედნის პატრონი სტუმარი გუნდი იყო. თუმც შემდეგ თამაში კვლავ აირია და მეტოქეებმა საფინალო სასტვენამდე მაინც მშრალი 0:0 „მიათრიეს".

„ბარსა" ფრანკ რაიკაარდის მიერ განხორციელებულ როტაციებში გაიხლართა და ბერძნებთან 3 ქულის ალება მიტომაც ვერ მოვახერხეთო" — წერდა გუშინ ესპანური „მარკა".

**უდინეზე 1:1 ვერდერი**

0:1 ფელიპე (64 ს.კ), 1:1 დი ნატალე (86)
**უდინეზე:** დე სანქტისი, სენსინი, ბერტოტო, ფელიპე დ. ძენონი (დი ნატალე 77), პინცი (მაური 77), ობოდო, მუნტარი, კანდელა, იაკინტა, დი მიკელე (ბარეტო 58)
**მწვრთნელი:** სერსე კოზმი
**ვერდერი:** რაინკე, ოვომოიელა, ანდრეასონი, ნალდო, შულცი, ფრინგსი, ბაუმანი, მიკუ, ბოროვსკი, ვალდესი (ჰანტი 84), კლოზე
**მწვრთნელი:** თომას შააფი
**გაფრთხილება:** ვალდესი, პინცი, მიკუ, იაკინტა
**მსაჯი:** რენეტ ტემინკი (ჰოლანდია)
23 000 მაყურებელი

| 17:00 | 370 | ოლბორგი-ორჰუსი | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 381 | ტრომსო-ვიკინგი | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 20:00 | 382 | ალესუნდი-ლინი | 2.45 | 3.50 | 2.50 | 1.44 | 1.23 | 1.45 |
| 20:00 | 384 | მოლდე-ჰამარი | 2.05 | 3.30 | 3.30 | 1.26 | 1.26 | 1.64 |
| 20:00 | 385 | ფრედრიკსტადი-ლილესტრომი | 2.45 | 3.50 | 2.50 | 1.44 | 1.23 | 1.45 |
| 20:00 | 387 | ბრანი-ოდ გრენლანდი | 1.70 | 3.50 | 4.60 | 1.14 | 1.24 | 1.98 |
| 20:00 | 388 | ვალერენგა-როზენბორგი | 2.10 | 3.40 | 3.00 | 1.29 | 1.23 | 1.59 |
| 20:00 | 390 | ბოდო გლიმტი-სტარტი | 2.85 | 3.60 | 2.10 | 1.59 | 1.20 | 1.32 |
| | | **მექსიკა** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 436 | ტოლუკა-ატლანტე | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 23:45 | 437 | მონტერეი-ნეკაქსა | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 23:45 | 438 | კრუზ აზული-სან ლუისი | 1.35 | 4.20 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.55 |
| 23:45 | 440 | მორელია-სანტოსი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 441 | ატლასი-დორადოსი | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 442 | ტეკოსი-ტიგრესი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 23:45 | 443 | პაჩუკა-ჩიაპასი | 1.50 | 3.70 | 5.30 | 1.06 | 1.16 | 2.17 |
| 23:45 | 444 | ამერიკა-ვერაკრუსი | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 495 | დინამო(ბქ)-ჰერენვენი | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 18:15 | 496 | ჰალმსტადი-ჰერტა | 4.00 | 3.40 | 1.80 | 1.83 | 1.24 | 1.17 |
| 22:15 | 497 | ცსკა(ბულ)-ჰამბურგი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 20:00 | 498 | ზენიტი-გიმარაეში | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 20:15 | 499 | რენი-შტუტგარტი | 2.35 | 3.00 | 2.90 | 1.31 | 1.29 | 1.47 |
| 21:00 | 500 | სტიაუა-ლანსი | 2.35 | 3.10 | 2.80 | 1.33 | 1.27 | 1.47 |
| 23:00 | 501 | გრასჰოპერი-მიდლსბრო | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 20:00 | 502 | ვიბორგი-მონაკო | 3.70 | 3.20 | 1.90 | 1.71 | 1.25 | 1.19 |
| 21:30 | 503 | ბაზელი-სტრასბური | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 20:00 | 504 | შახტარი-პაოკი | 1.45 | 3.90 | 6.00 | 1.05 | 1.16 | 2.36 |
| 19:00 | 505 | მაკაბი(ფთ)-პალერმო | 4.00 | 3.20 | 1.80 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| 22:45 | 506 | ტრომსო-რომა | 4.80 | 3.50 | 1.65 | 2.02 | 1.22 | 1.12 |
| 22:45 | 507 | ბეშიქთაში-ბოლტონი | 2.15 | 3.10 | 3.20 | 1.26 | 1.28 | 1.57 |
| 19:30 | 508 | ცსკა(მ)-მარსელი | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 22:00 | 509 | დნეპრი-ალკმაარი | 2.60 | 3.00 | 2.60 | 1.39 | 1.29 | 1.39 |
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 519 | ალბასეტე-კადისი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 22:30 | 520 | ბეტისი-რასინგი | 3.90 | 3.40 | 1.75 | 1.81 | 1.20 | 1.15 |
| 23:00 | 521 | ხერესი-ნუმანსია | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 23:45 | 524 | ალიკანტე-სარაგოსა | 4.80 | 3.70 | 1.55 | 2.08 | 1.17 | 1.09 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 650 | იურგორდენი-მორა | 1.85 | 4.00 | 2.40 | 1.26 | 1.04 | 1.50 |
| 21:00 | 651 | მოდო-ფერიესტადი | 2.10 | 4.00 | 1.95 | 1.37 | 1.01 | 1.31 |
| 21:00 | 652 | ჰვ 71-ბრინესი | 1.55 | 4.20 | 3.00 | 1.13 | 1.02 | 1.75 |
| 21:00 | 653 | ტიმრო-ლულეო | 1.80 | 4.00 | 2.50 | 1.24 | 1.04 | 1.53 |
| 21:00 | 654 | ფროლუნდა-ლინჩეპინგი | 1.75 | 4.00 | 2.60 | 1.21 | 1.04 | 1.57 |
| 21:00 | 655 | სოდერტელიე-ლეკსანდი | 1.65 | 4.00 | 2.70 | 1.16 | 1.02 | 1.61 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი. გერმანია 20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:30 | 716 | ნიურნბერგი-მანჰეიმი | 2.10 | 4.00 | 2.20 | 1.37 | 1.07 | 1.41 |
| | | **კალათბურთი. იტალია 20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 801 | რომა-ვარეზე | 1.55 | 12.00 | 2.00 | 1.37 | 1.00 | 1.71 |
| 22:30 | 802 | უდინე-ბიელა | 1.45 | 12.00 | 2.30 | 1.29 | 1.00 | 1.93 |
| 22:30 | 803 | ტერამო-ბენეტონი | 2.00 | 12.00 | 1.60 | 1.71 | 1.00 | 1.41 |
| 22:30 | 804 | აველინო-ვ.ბოლონია | 2.00 | 12.00 | 1.60 | 1.71 | 1.00 | 1.41 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 805 | ბიელა-ნაპოლი | 2.00 | 12.00 | 1.60 | 1.71 | 1.00 | 1.41 |
| 22:30 | 807 | ორლანდინა-კანტუ | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 22:30 | 808 | მილანი-როზეტო | 1.08 | 12.00 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 3.77 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი 20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 823 | ხუვენტუდი-მანრესა | 1.25 | 12.00 | 3.50 | 1.13 | 1.00 | 2.70 |
| 22:45 | 824 | ბარსელონა-ფუენლაბრადა | 1.08 | 12.00 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 3.77 |
| 22:05 | 825 | უნიკახა-ვალენსია | 1.50 | 12.00 | 2.40 | 1.33 | 1.00 | 2.00 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10495 | დინამო(ბქ)-ჰერენვენი | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10496 | ჰალმსტადი-ჰერტა | 4.40 | 2.00 | 2.20 | 1.37 | 1.46 | 1.04 |
| 10497 | ცსკა(ბულ)-ჰამბურგი | 3.70 | 2.00 | 2.55 | 1.29 | 1.50 | 1.12 |
| 10498 | ზენიტი-გიმარაეში | 2.00 | 2.10 | 5.10 | 1.02 | 1.43 | 1.48 |
| 10499 | რენი-შტუტგარტი | 2.75 | 2.00 | 3.10 | 1.15 | 1.45 | 1.21 |
| 10500 | სტიაუა-ლანსი | 2.80 | 2.00 | 3.30 | 1.16 | 1.51 | 1.24 |
| 10501 | გრასჰოპერი-მიდლსბრო | 3.70 | 2.00 | 2.55 | 1.29 | 1.50 | 1.12 |
| 10502 | ვიკინგი-მონაკო | 4.30 | 2.00 | 2.35 | 1.36 | 1.51 | 1.08 |
| 10503 | ბაზელი-სტრასბური | 2.20 | 2.00 | 4.50 | 1.04 | 1.47 | 1.38 |
| 10504 | შახტარი-პაოკ | 1.75 | 2.30 | 6.00 | 1.00 | 1.35 | 1.66 |
| 10505 | მაკაბი(ფთ)-პალერმო | 4.50 | 2.00 | 2.25 | 1.38 | 1.50 | 1.05 |
| 10506 | ტრომსიო-რომა | 5.10 | 2.10 | 2.00 | 1.48 | 1.43 | 1.02 |
| 10507 | ბეშიქთაში-ბოლტონი | 2.55 | 2.00 | 3.70 | 1.12 | 1.50 | 1.29 |
| 10508 | ცსკა(მ)-მარსელი | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10509 | დნიპრო-ალკმაარი | 3.10 | 2.00 | 2.90 | 1.21 | 1.49 | 1.18 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15495 | დინამო(ბქ)-ჰერენვენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15496 | ჰალმსტადი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15497 | ცსკა(ბულ)-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15498 | ზენიტი-გიმარაეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15499 | რენი-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15500 | სტიაუა-ლანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15501 | გრასჰოპერი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15502 | ვიკინგი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15503 | ბაზელი-სტრასბური | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15504 | შახტარი-პაოკ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15505 | მაკაბი(ფთ)-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15506 | ტრომსიო-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15507 | ბეშიქთაში-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15508 | ცსკა(მ)-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15509 | დნიპრო-ალკმაარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11495 | დინამო(ბქ)-ჰერენვენი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11496 | ჰალმსტადი-ჰერტა | 6.00 | 10.00 | 20.00 | 7.00 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11497 | ცსკა(ბულ)-ჰამბურგი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11498 | ზენიტი-გიმარაეში | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11499 | რენი-შტუტგარტი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 4.50 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11500 | სტიაუა-ლანსი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11501 | გრასჰოპერი-მიდლსბრო | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11502 | ვიკინგი-მონაკო | 5.00 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.50 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 2.80 |
| 11503 | ბაზელი-სტრასბური | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11504 | შახტარი-პაოკ | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11505 | მაკაბი(ფთ)-პალერმო | 6.00 | 10.00 | 20.00 | 7.00 | 4.50 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11506 | ტრომსიო-რომა | 7.00 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.50 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11507 | ბეშიქთაში-ბოლტონი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11508 | ცსკა(მ)-მარსელი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11509 | დნიპრო-ალკმაარი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 4.40 | 4.50 | 20.00 | 10.00 | 3.80 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დასრულების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14495 | დინამო(ბქ)-ჰერენვენი | 1.65 | 2.20 |
| 14496 | ჰალმსტადი-ჰერტა | 2.40 | 1.45 |
| 14497 | ცსკა(ბულ)-ჰამბურგი | 2.10 | 1.75 |
| 14498 | ზენიტი-გიმარაეში | 1.30 | 2.50 |
| 14499 | რენი-შტუტგარტი | 1.75 | 1.95 |
| 14500 | სტიაუა-ლანსი | 1.75 | 1.95 |
| 14501 | გრასჰოპერი-მიდლსბრო | 2.00 | 1.80 |
| 14502 | ვიკინგი-მონაკო | 2.20 | 1.65 |
| 14503 | ბაზელი-სტრასბური | 1.55 | 2.30 |
| 14504 | შახტარი-პაოკ | 1.25 | 2.50 |
| 14505 | მაკაბი(ფთ)-პალერმო | 2.40 | 1.50 |
| 14506 | ტრომსიო-რომა | 2.50 | 1.30 |
| 14507 | ბეშიქთაში-ბოლტონი | 1.75 | 2.10 |
| 14508 | ცსკა(მ)-მარსელი | 1.65 | 2.30 |
| 14509 | დნიპრო-ალკმაარი | 1.90 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13495 | დინამო(ბქ)-ჰერენვენი | 1.70 | 1.90 |
| 13496 | ჰალმსტადი-ჰერტა | 1.70 | 1.90 |
| 13497 | ცსკა(ბულ)-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13498 | ზენიტი-გიმარაეში | 1.70 | 1.90 |
| 13499 | რენი-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 13500 | სტიაუა-ლანსი | 1.70 | 1.90 |
| 13501 | გრასჰოპერი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 13502 | ვიკინგი-მონაკო | 1.70 | 1.90 |
| 13503 | ბაზელი-სტრასბური | 1.70 | 1.90 |
| 13504 | შახტარი-პაოკ | 1.70 | 1.90 |
| 13505 | მაკაბი(ფთ)-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 13506 | ტრომსიო-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13507 | ბეშიქთაში-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13508 | ცსკა(მ)-მარსელი | 1.70 | 1.90 |
| 13509 | დნიპრო-ალკმაარი | 1.60 | 2.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12495 | დინამო(ბქ)-ჰერენვენი | 1.90 | 1.70 |
| 12496 | ჰალმსტადი-ჰერტა | 1.70 | 1.90 |
| 12497 | ცსკა(ბულ)-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |
| 12498 | ზენიტი-გიმარაეში | 1.70 | 1.90 |
| 12499 | რენი-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 12500 | სტიაუა-ლანსი | 1.60 | 2.00 |
| 12501 | გრასჰოპერი-მიდლსბრო | 1.90 | 1.70 |
| 12502 | ვიკინგი-მონაკო | 1.70 | 1.90 |
| 12503 | ბაზელი-სტრასბური | 1.70 | 1.90 |
| 12504 | შახტარი-პაოკ | 1.90 | 1.70 |
| 12505 | მაკაბი(ფთ)-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 12506 | ტრომსიო-რომა | 1.70 | 1.90 |
| 12507 | ბეშიქთაში-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12508 | ცსკა(მ)-მარსელი | 1.70 | 1.90 |
| 12509 | დნიპრო-ალკმაარი | 1.90 | 1.70 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16495 | დინამო(ბქ)-ჰერენვენი | 1.35 | 2.55 |
| 16496 | ჰალმსტადი-ჰერტა | 2.60 | 1.35 |
| 16497 | ცსკა(ბულ)-ჰამბურგი | 2.00 | 1.60 |
| 16498 | ზენიტი-გიმარაეში | 1.25 | 3.00 |
| 16499 | რენი-შტუტგარტი | 1.60 | 1.90 |
| 16500 | სტიაუა-ლანსი | 1.60 | 1.90 |
| 16501 | გრასჰოპერი-მიდლსბრო | 2.00 | 1.55 |
| 16502 | ვიკინგი-მონაკო | 2.35 | 1.40 |
| 16503 | ბაზელი-სტრასბური | 1.30 | 2.70 |
| 16504 | შახტარი-პაოკ | 1.15 | 3.80 |
| 16505 | მაკაბი(ფთ)-პალერმო | 2.50 | 1.35 |
| 16506 | ტრომსიო-რომა | 3.00 | 1.25 |
| 16507 | ბეშიქთაში-ბოლტონი | 1.50 | 2.05 |
| 16508 | ცსკა(მ)-მარსელი | 1.35 | 2.55 |
| 16509 | დნიპრო-ალკმაარი | 1.80 | 1.80 |

## გოლი:წყვილი-1/კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17495 | დინამო(ბქ)-ჰერენვენი | 1.85 | 1.95 |
| 17496 | ჰალმსტადი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17497 | ცსკა(ბულ)-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17498 | ზენიტი-გიმარაეში | 1.85 | 1.95 |
| 17499 | რენი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17500 | სტიაუა-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17501 | გრასჰოპერი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17502 | ვიკინგი-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17503 | ბაზელი-სტრასბური | 1.85 | 1.95 |
| 17504 | შახტარი-პაოკ | 1.85 | 1.95 |
| 17505 | მაკაბი(ფთ)-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17506 | ტრომსიო-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17507 | ბეშიქთაში-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17508 | ცსკა(მ)-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17509 | დნიპრო-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |

# ფიგაროს ბურთაობა

## გაფრინდაშვილის განრიგი: დილით ოლიმპია, საღამოს — პოსტოინა

**გასულ სეზონში თსუ-ში ნაზურთავებმა გიორგი გაფრინდაშვილმა სექტემბერში სლოვენიურ „ოლიმპიასთან“ გააფორმა კონტრაქტი და ახლა უკვე ლიუბლიანაშია. ახალგაზრდა ქართველ გამთამაშებელს ოლიმპიელები თბილად შეხვდნენ, ყველა დანაპირები შეუსრულეს და გულმოდგინედაც ავარჯიშებენ. გაფრინდაშვილმა კონტრაქტი „ოლიმპიას“ ძირითად გუნდთან გააფორმა და მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ახალგაზრდაა, მისი დუბლებში თამაში თავიდანვე გამოირიცხა. სანამ სლოვენიაში წავიდოდა, გიორგი ამბობდა, „ოლიმპიაში“ თამაშის შანსი კი მაქვს, მაგრამ მაინც მგონია, რომ სხვაგან გამანათხოვრებენო. ჰოდა, აუხდა კიდეც — გაფრინდაშვილი ამ სეზონს ლიუბლიანას ყურის ძირში მყოფ პოსტოინას გუნდში გაატარებს, იქ, სადაც „ოლიმპიამ“ თავის დროზე ვლადიმერ ბოისა გაანათხოვრა...**



გიორგი გაფრინდაშვილი (ბურთით) „ოლიმპიამ“ „პოსტოინაში“ გაანათხოვრა

— ერთი კვირაა, ჩამოვედი. აქაურები ძალიან კარგად დამხვდნენ, ყველანაირად კმაყოფილი ვარ — გვითხრა გაფრინდაშვილმა გუშინ, ლიუბლიანაში რომ შევეხმიანეთ.

**— ვარჯიშს, ცხადია, შეუდგებოდი...**

— რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მონდომებითაც, თუმც „ოლიმპიასთან“ ხშირად ვერ ვვარჯიშობ, რადგან ადრიატიკის ლიგა დაიწყო და სისტემატურად მოგზაურობს. რომ ჩამოვედი, „ოლიმპია“ ესპანეთში იყო, ორ დღეში ჩამოვიდა და პირველად მაშინ ვივარჯიშე ჩემს ახალ გუნდთან. ოლიმპიელები ახლა სერბეთში არიან.

**— მარტო ვარჯიშობ?**

— მარტოც მიწევს, თუმც ხანდახან „ოლიმპიას“ 20-წლამდელებთან, ან ჩემსავით სხვა გუნდში გასანათხოვრებელ მოთამაშეებთან ვვარჯიშობ.

**— შენ გასანათხოვრებელი ხარ?**

— კი, თითქმის გადაწყვეტილია, რომ წლეულს „ოლიმპიაში“ არ ვითამაშებ. რომ ჩამოვედი, ცხადია, მწვრთნელს შევეკითხე, სად უნდა ვითამაშო-მეთქი. მიპასუხა, ჩვენ შენთვის პროგრამა გვაქვს შემუშავებულიო. ლიუბლიანაში იცხოვრებ, დილაობით „ოლიმპიასთან“ ივარჯიშებ, საღამოს კი „პოსტოინასთანო“. თამაშებსაც „პოსტოინაში“ ჩაატარებ. ამ გუნდს ერთი გამთამაშებელი ჰყავს და მოედანზე კარგა ხნით მოგიწევს ყოფნაო, მითხრეს „ოლიმპიას“ მწვრთნელებმა. ერთი სეზონი იქნები „პოსტოინაში“, გამოცდილებას დააგროვებ და მერე „ოლიმპიაში“ ითამაშებო, დამპირდნენ.

**— დილას „ოლიმპიაში“, საღამოს „პოსტოინაში“ — როგორ უნდა მოახერხო?**

— პოსტოინა ლიუბლიანიდან 50 კილომეტრშია. „ოლიმპიამ“ მანქანა გამომიყო, მძღოლი წამიყვანს და წამომიყვანს, როცა დამჭირდება.

**— „ოლიმპიას“ ახალგაზრდულ გუნდში რომ ჰქონდეს...**

— ესეთი რამ კონტრაქტით არ ყოფილა გათვალისწინებული. მე პირველ გუნდში უნდა მეთამაშა და რაკი ჯერ „ოლიმპიაში“ ვერ მოვხვდი, „პოსტოინაში“ გამიშვეს. ეს გუნდიც უმაღლეს ლიგაში თამაშობს. სხვათა შორის, „ოლიმპიამ“ ვლადიმერ ბოისაც „პოსტოინაში“ გაანათხოვრა თავიდან, როცა ჯერ ჩემი ტოლი იყო. ბოისამ ამ გუნდში 2 წელიწადს ითამაშა და მერე შეუერთდა „ოლიმპიას“.

**— ეგ ჩვენც გვახსოვს, მაგრამ შენი საქმე როგორღა იქნება...**

— იმედი მაქვს, გაისად უკვე „ოლიმპიაში“ ვითამაშებ. ყოველ შემთხვევაში, ასე ვარაუდობს თავად გუნდის ხელმძღვანელება.

**— როგორ პირობებში ცხოვრობ?**

— ცალკე სახლს ჯერ ვერ მოგცემთ, არასრულწლოვანი ხარო, მითხრა კლუბის უფროსობამ. მე და კიდევ ორი ოლიმპიელი ერთ ბინაში იცხოვრებთო, მანამდე კი მანუჩარ მარკოიშვილთან ვარ.

**— მანუჩარის საქმე როგორაა, ტრავმას იშუშებს კიდევ?**

— თერაპიის კურსს მალე დაასრულებს და ვარჯიშს შეუდგება. ახლა აქ არის და მეუბნება, ერთ-ორ თვეში მოედანზე უნდა გავიდეო.

**ირაკლი პერტაია**



# მკაცრია, მაგრამ სამართლიანი

**როგორც** ვიუწყებოდით, ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე შეიძლება არ ჩავიდეს ბევრი პროფესიონალი სპორტსმენი, რომლებიც ძირითადად ამერიკისა და კანადის წარმომადგენლები არიან. მათ აშინებთ იტალიის კანონმდებლობა, რომელიც დოპინიგს ხმარებაში მხილებულ სპორტსმენებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრით ემუქრება. ამიტომ, ფიქრობდნენ, რომ იტალიის მთავრობა ოლიმპიური თამაშების დღეებში დოპინგთან დაკავშირებით მორატორიუმს გამოაცხადებდა, მაგრამ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი და ვიცე-პრემიერი ჯან ფრანკო ფინი წინააღმდეგი გამოდის ეროვნულ კანონმდებლობაზე მორატორიუმის შემოღებით. რომში წარმოდგენილი გაეროს გენერალური ანსამბლეის პროექტის რეზოლუციის მიღებისას, რომელიც ოლიმპიურ ზავს შეეხება, ჯან ფრანკო ფინიმ აღნიშნა, რომ სპორტის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი პატიოსნებაა და მას ყავლი არ გასვლიაო.

„ჩვენი კანონმდებლობა მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სამართლიანი და მკაცრია. მე ვერ მივიღებ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც მიმართული იქნება ნარკოტიკული პრეპარატების მომხმარებელთა წინააღმდეგ კანონის შერბილებაზე“, — თქვა ჯან ფრანკო ფინიმ.

იტალია პირველი ქვეყანაა, რომელმაც დოპინგის მოხმარებისთვის სისხლის სამართლის სასჯელი შემოიღო.

ამასთან დაკავშირებით იტალიის სპორტისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები შიშობენ, რომ ბევრი პროფესიონალი სპორტსმენი უარს იტყვის გაისად გასამართ ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე. ამ პრობლემის გადასაჭრელად სპეციალისტებს ოლიმპიური თამაშების ანტიდოპინგური კანონის შეჩერება ესახებათ.

# ამერიკა სოფტბოლს ვერ ელევა

**ამერიკის** ოლიმპიური კომიტეტი აქტიურად იბრძოლებს, რათა ოლიმპიურ თამაშებს დაუბრუნდეს ბეისბოლი და სოფტბოლი, რომლებიც 2012 წელს გასამართი ლონდონის ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ამ ზაფხულს ამოიღეს.

„ჩვენ ყველა შესაძლებლობას მივმართავთ, რათა ივლისის გადაწყვეტილებაზე მოვახდინოთ გავლენა“ — თქვა ამერიკის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა პეტერ უბეროტმა.

როცა უბეროტს შეახსენეს, რომ თავად ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაცია გამოდის ლიგის სპორტსმენთა ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის წინააღმდეგ, მან პასუხად თქვა, ეტყობა, ამგვარი პოზიცია გადასასინჯიაო.



# WBC-ს იდეა...

**WBC-ს** პრეზიდენტმა ხოსე სულეიმანმა განაცხადა, რომ მისი ფედერაცია კიდევ სამ მოწინავე საკრივო ორგანიზაციას: WBA, IBF და WBO ჩემპიონთა ტურნირის ჩატარებას შესთავაზებს.

WBC გეგმავს ამ „ოთხეულის შეხვედრას“ და ფიქრობს მათთან ხელშეკრულების დადებას თითოეული ვერსიით ჩემპიონთა გაერთიანებული ბრძოლის თაობაზე, რომელიც ყოველ ოთხ წელიწადში ჩვიდმეტივე წონით კატეგორიაში გაიმართება.

ბრძოლები მხოლოდ ჩემპიონთა შორის ჩატარდება და სამი შეხვედრით შემოიფარგლება: ორი ნახევარფინალითა და ერთი ფინალით. შესაძლოა მოკრივეებს ნაკლები ბრძოლაც მოუხდეთ იმის მიხედვით, თუ რამდენი მეტოქე მოგროვდება თითოეულ წონით კატეგორიაში.

სულეიმანის თქმით, იგი დაჟინებით არ სთხოვს ყველა ორგანიზაციას, რათა ამ ინიციატივას შეუერთდნენ და იგი კმაყოფილი დარჩება იმითაც, თუ WBC წინადადებას კიდევ ორი ორგანიზაცია მიიღებს.



# ტოპალოვის საბრძოლო სულისკვეთება



**ჭადრაკში** მსოფლიოს ჩემპიონმა ვესელინ ტოპალოვმა განაცხადა, მზად ვარ ვითამაშო ვლადიმირ კრამნიკისა და გარი კასპაროვის წინააღმდეგო.

„ვლადიმირი მართლაც ფლობს რაღას ტიტულს, მაგრამ პრობლემა სულ სხვაა. იგი თავის დროზე უბრალოდ ბრწყინვალედ თამაშობდა: იმარჯვებდა უამრავ ტურნირებში, გაიმარჯვა კასპაროვის წინააღმდეგ მატჩშიც. ვფიქრობ, რომ 90-იანი წლების ბოლოს კრამნიკი მართლაც მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკე იყო, მაგრამ ბოლო წლებში იგი ძველებურად ველარ თამაშობს. არ დაივიწყოთ, ლევისთვის იგი თავისი რეიტინგით მხოლოდ მსოფლიოს მე-7 გროსმაისტერია. მასთან შეხვედრა ჩემზე კი არაა დამოკიდებული, არამედ ფიდეზე თუ იქნება პირობები, სპონსორები, საპრიზო ფონდი, მაშინ რატომაც არა? — ამბობს ტოპალოვი, — არ ვიცი, რამდენად მტკიცე იყო გარი კასპაროვის გადაწყვეტილება პროფესიონალური კარიერის დასრულების თაობაზე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მასთან ჩემი მატჩი ძალზე საინტერესო იქნებოდა საჭადრაკო სამყაროსთვის. მზად ვარ, მას თუნდაც ხვალვე შევხვდე“.



# რამაზ ნოზაძე: მინდა მხოლოდ ჭიდაობაზე ვიფიქრო

ხანგრძლივი იძულებითი დასვენების შემდეგ ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი რამაზ ნოზაძე დარბაზს რომ მიუბრუნდა, გუშინდელ „სარბიელში" გაუწყეთ. მისმა პირადმა მწვრთნელმა ოთარ ტატიშვილმა ისიც გვითხრა, ახლა მთელი კონცენტრაცია ვარჯიშებზე უნდა გადავიტანოთ და ამისთვის ბევრი სხვა რამ შევზღუდეთო, მათ შორის მასმედიასთან ურთიერთობაც. გუშინ მწვრთნელთან შეთანხმების შემდეგ მაინც მოვახერხეთ რამაზთან გასაუბრება. რომ გაიგო, ტატიშვილი საქმის ვითარებაში გარკვეული იყო, ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა

— ასე რთულად გამოსაჭერი რესპონდენტი აქამდე არასოდეს ყოფილხარ...

— ვარჯიშები ეს-ესაა განვაახლე. თვენახევრიანი მკურნალობის შემდეგ ყველაფერს თავიდან ვიწყებ და არ მინდა, სხვა რამეზე ვიფიქრო. ჩემს პირად მწვრთნელთან ერთად გადავწყვიტე, ცოტა ხნით მობილური გავთიშო. შეზღუდვა მარტო ჟურნალისტებზე არაა გათვლილი. მინდა, ამ ეტაპზე მხოლოდ ჭიდაობაზე ვიფიქრო.

**— ტრავმა ბოლომდე მოიშუშე?**

— მკურნალობა დავასრულე მერე კვირაა, დარბაზს დავუბრუნდი და ვარჯიშს შევუდექი. მართალია, ჯერ მხოლოდ მსუბუქად ვტვირთები, მაგრამ მთავარია, რომ ტკივილი აღარ მაწუხებს. ასეთი ხანგრძლივი ტრავმა აქამდე ერთხელ გადავიტანე 2001 წელს მარცხენა მუხლზე ვიმკურნალე.

**— წელს ტრავმა კი ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ მიიღე...**

— სეზონის უმთავრესი ტურნირის გამოტოვებამ ძალიან დამწყვიტა გული. ალალად გეტყვით, მართლა კარგ ფორმაში ვიყავი და ბუდაპეშტისთვის მშვენივრად ვემზადებოდი.

**— წლეულს ევროპის ჩემპიონატიც გამოტოვე. რატომ, მაშინ ხომ ტრავმა არ გაწუხებდა?**

— ამაზე მწვრთნელთან შეთანხმების შემდეგ ვთქვი უარი. ეს ტაქტიკური გადაწყვეტილებაც იყო. მსოფლიოს ჩემპიონატზე მაშინვე ვფიქრობდი.

**— სეზონის ორი მთავარი ტურნირის გამოტოვების მიუხედავად, რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრზე მაინც მოახერხე ქომაგის გახარება. პირადად რა დაგამახსოვრდა ყველაზე კარგად?**

— ძნელი სათქმელია. ალბათ თბილისური „გივი კარტოზიას ტურნირი". ზაფხულში ჩატარდა და იმ პერიოდში უკვე კარგ ფორმაში ვიყავი. არ შეიძლება, ბოლო ტურნირიც არ ვახსენო. მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი შეკრებებისას პოლონეთში ძალიან ძლიერ პირველობაზე ბრინჯაო ავიღე. ის მედალი ნახევრად ტრავმირებულმა მოვიპოვე.

**— არ იქნება, მსოფლიოზე ნაკრების უმედლოდ დარჩენაზე არ გკითხო. ელოდი ასეთ შედეგს?**

— სიმართლე გითხრათ, გული მიგრძნობდა, რომ წინა მსოფლიოს ჩემპიონატის დარი შედეგის ჩვენება გაგვიჭირდებოდა. მოგეხსენებათ, წესები სოცრად აირ-დაირია. ნაკრებმა სიახლეებთან შეჩვევა ვერ მოასწრო და... მთლად უმედლოდ თუ დავრჩებოდით, მაინც ვერ წარმოვიდგენდი.

**— წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ახალი წესები დასახელდა. როგორც ჩანს, ამ აზრს შენც ეთანხმები.**

— ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია ამ წესებს ალბათ კიდევ შეცვლის. ასეც უნდა იყოს. ამჟამად ბევრ ძლიერ მოჭიდავეს აქვს უპირატესობა დაკარგული მხოლოდ იმის გამო, რომ ლატარიის პრინციპით თავისზე აშკარად სუსტ მეტოქესთან წააგო.

**— ისე ჩანს, ახალი წესებით პარტერში ჭიდაობით გამორჩეულებმა უნდა იხეირონ. ეს ხომ შენი კოზირია?**

— გეთანხმებით, საკმაოდ კარგად გამომდის, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ პარტერში ილეთის შემსრულებლის გამოსავლენად ლატარიის პრინციპით ხელმძღვანელობენ. არ არის გამორიცხული, ეს უპირატესობა მეტოქეს ერგოს. და მაინც, ამ წესებითაც შეიძლება წარმატებაზე ფიქრი. ცოტა ადრე რომ შემოელოთ, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ნაკრების წევრები ალლოს აუღებდნენ და შედეგიც უკეთესი იქნებოდა.

**— ბუდაპეშტში შენი წონის მოჭიდავეთა გამოსვლების ალბათ განსაკუთრებით დააკვირდებოდი. სამეულზე რას იტყვი?**

— ფინალში თურქი იერლიქაია და უნგრელი ვირაჟი გავიდნენ. ეს მოსალოდნელიც იყო, ბრინჯაოს პრიზიორებმა კი ცოტა გამაკვირვეს. რუსი ტეპლაუხოვისგან და ამერიკელი რუიზისგან ნახევარფინალში ჭიდაობას ნაკლებად ველოდი.

**— ოლიმპიურ ფინალში შენმა მომგებმა ეგვიპტელმა ქარიმ იბრაჰიმმაც ტრავმის გამო გამოტოვა მსოფლიოს ჩემპიონატი?**

— თუ არ ვცდები, მანაც ავარიის გამო. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დამირეკა და მითხრა, არ ვჭიდაობო.

**— ტატიშვილის თქმით, ოპტიმალურ ფორმაში წლის ბოლოს იქნები. მზადების გეგმაში სატურნირო გამოცდილების გასახსენებლად საერთაშორისო ტურნირიც ხომ არ შეგიტანიათ?**

— ჯერ ვერაფერს გეტყვით. თუ საჭირო გახდა, რომელიმე ტურნირსაც გამოვძებნით. ზუსტად მხოლოდ ის ვიცი, რომ თებერვალში საქართველოს ჩემპიონატზე აუცილებლად ვიჭიდავებ. თუ იქამდე რამე ტურნირი იქნა, იქნებ ნაკრებში დაბრუნებაც მოვასწრო.

**ოთარ მაღლაკელიძე**



## საქართველოს XVI ჩემპიონატი

თბილისი. ასა-ს დარბაზი

მეორე წრე. 19 ოქტომბერი

**ხ/კ თბილისი 26:15 ქარიშხალა**

**ხ/კ თბილისი:** სეთურიძე, გონჩაროვი, ქირია (გაიტანა 8 გოლი), ნატროშვილი (6), გრიშიკაშვილი (5), სამარლანიშვილი (3), ღალანიძე (2), ფორაქიშვილი (1), გელა არაბული (1), მამასახლისი, ღლენტი, ქარდავა, სულიკაშვილი

**ქარიშხალა:** სამყურაშვილი, გიორგი ტორონჯაძე, მსხვილიძე (6), სიგუა (3), გოგალაძე (2), ბერძენიშვილი (1), საჯაია (1), ჟორბენაძე (1), მელქოშვილი (1), გიორგი ჩიქოვანი, ირაკლი ჩიქოვანი, ქსოვრელი, ზაალიშვილი, ამირანაშვილი

**სტუ-შევარდენი 33:21 სსსსუ-მამული**

**სტუ-შევარდენი:** კუპატაძე, წივწივაძე (11), გიორგი კობახიძე (6), რუსია (4), ნადირაძე (4), ტალახაძე (4), ქუთათელაძე (1), ომარ ყიფიანი (1), ამირან ყიფიანი (1), ჩუბინაშვილი (1), სვიმონიშვილი

**სსსსუ-მამული:** ხონელიძე, ხინგავა, სიხარულიძე (6), შონია (5), ყაველაშვილი (3), მამაცაშვილი (3), მაისურაძე (2), შათირიშვილი (1), გობეჯიშვილი (1), კიზირია, გველესიანი

# უმსაჯებოდ ვერ გავფრინდებით

**გუშინდელ** ტურში თამაშებზე მეტად მსაჯობაზე, უფრო ზუსტად კი უმსაჯობაზეა სათქმელი.

პირველი მატჩი სწრაფ ტემპში, ლამაზი კომბინაციებითა და „ქარიშხალას" უპირატესობით დაიწყო. გამორჩეულად აქტიურობდნენ გუნდის მთავარმეგოლე რატი მსხვილიძე და ხაზელი ირაკლი სიგუა. ქარიშხლელები მეათე წუთისთვის ორი ბურთით იყვნენ წინ — 3:1, მაგრამ მათი ყოფილი თანაგუნდელების, მეკარე გაგა სეთურიძისა და რეაქტიულ ფორვარდ გელა არაბულის უნაკლო თამაშით, „თბილისმა" გარდატეხა შეიტანა, შუა ტაიმში დაწინაურდა — 7:5 და ტაიმიც მოიგო — 10:9.

შესვენების შემდეგ არანაკლებ დაძაბული და სანახაობრივი ბრძოლა იყო მოსალოდნელი, მაგრამ მეორე ტაიმის დაწყება ნახევარი საათით შეფერხდა. ის კი არა, მატჩი კინაღამ სულაც ჩაიშალა, რადგან მწვრთნელთა უტაქტო შეძახილებით განაწყენებულმა ერთ-ერთმა მსაჯმა ელენე არაბულმა თამაშის გაძღოლაზე უარი განაცხადა.

ბოლოს და ბოლოს, საქმე სანახევროდ მოგვარდა, ანუ მეტოქეები დათანხმდნენ, მეორე ტაიმის მსაჯობა ერთს — ზურაბ ქოქოსაძეს გაეგრძელებინა და თამაშიც ჩამთავრდა, თუმც საწყისი ხიბლის გარეშე — უგემურად და უინტერესოდ.

ცხადია, ეს ინციდენტიც იყო მიზეზი, რომ ქარიშხლელები „გადაიწვნენ" და თამაში მოეშალათ: უზუსტო პასები, მოუმზადებელი, ნაჩქარევი ტყორცნები, ჩავლავება დაცვაში და ლოგიკური შედეგიც — პირველი წრის გმირებმა გუშინ 14 წუთში მხოლოდ ორი გოლის გატანა მოახერხეს, თავიანთ კარში კი შვიდი მიიღეს.

ერთი სიტყვით, ვიცე-ჩემპიონმა „თბილისმა" პირველ წრეში შვიდბურთიანი მარცხისთვის სრულყოფილი რევანში აიღო. აღსანიშნავია „ლეგიონერების" — ყოფილ ქარიშხლელთა, ირაკლი ქირიასა და შოთა გრიშიკაშვილის, აგრეთვე ქესთელაველ გიორგი ნატროშვილის შედეგიანობა.

საქართველოს 15-გზის ჩემპიონ „სტუ-შევარდენის" მორიგ ღირსეულ მოგებაზე მეტად ისაა სათქმელი, რომ გუნდს წინა სეზონის გმირი, სამასი გოლის გამტანი ფორვარდი ვლადიმერ რუსია დაუბრუნდა. რუსიამ პირველი წრე გამოტოვა, რადგან იმხანად უკრაინაში იმყოფებოდა იქაურ ჩემპიონ, ზაპოროჟიეს ZTR-ში თამაშზე მოსალაპარაკებლად. საწყენია, რომ მხარეები პირობებზე ვერ შეთანხმდნენ, თუმც 21 წლის ბომბარდირს სხვა შემოთავაზებაც აქვს.

**გია ახალაძე**

### სატურნირო ვითარება

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 6 | 0 | 0 | 204:143 | 12 |
| ხ/კ თბილისი | 3 | 0 | 3 | 178:132 | 6 |
| ქარიშხალა | 3 | 0 | 3 | 148:159 | 6 |
| სსსსუ-მამული | 2 | 0 | 4 | 144:186 | 4 |
| თელავი | 0 | 0 | 4 | 98:152 | 0 |



თბილისელი დავით ფორაქიშვილი გუშინ ერთ-ერთი საუკეთესო იყო

# მადრიდულ-ციურიხული ციებ-ცხელება

**მასტერსის სერია. მადრიდი. ესპანეთი. მაგარსაფარი საპრიზო 1 870 000 ევრო**

I წრე

**მარატ მირნი** (ბელარუსია) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 16) — 7:5 7:6

**კარლოს მოია** (ესპანეთი) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) — 6:2 6:1

II წრე

**რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი, 10) — ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი, 8) — 6:4 1:6 6:3

**ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — გასტონ გაუდიო (არგენტინა, 7) — 7:6 6:2

**რობი ჯინეპრი** (აშშ, 16) — სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) — 4:6 6:4 6:4

**გილერმო კორია** (არგენტინა, 4) — კრისტოფერ როხუსი (ბელგია) — 6:3 6:4

**დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა, 5) — იურგენ მელცერი (ავსტრია) — 7:6 6:3

**ტომას იუჰანსონი** (შვედეთი, 9) — ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) — 7:6 6:3

**დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი, 14) — ტომი ჰაასი (გერმანია) — 6:4 6:2

**ოლივიე როხუსი** (ბელგია) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია, 12) — 1:6 6:4 7:6

**ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი, 3) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) — 6:4 6:1



AFP მადრიდიდან

გილერმო კორია



მაქს მირნი

**მადრიდში** მიმდინარე მასტერსის სერიის მორიგ ტურნირზე პირველ წრის მატჩები დასრულდა და მეორე წრის დაიწყო.

მოგეხსენებათ, ესპანეთის დედაქალაქში ტრავმების გამო არ თამაშობენ მსოფლიოს პირველი ჩოგანი როჯერ ფედერერი და რუსი მარატ საფინი. იყო საშიშროება, რომ მუხლების ტკივილის გამო მადრიდის კორტებზე ვერც წლევანდელი გათამაშების პირველი ნომერი, ესპანელი რაფაელ ნადალი გავიდოდა. თუმცა, საბედნიეროდ, ექიმებმა ახალგაზრდა ესპანელს თამაშის ნება დართეს.

იმედია, ნადალის ასპარეზობას ეს ტრამვა დაღს არ დაასვამს.

პირველ წრის დასკვნით მატჩებში ორი ესპანელი მონაწილეობდა. ადგილობრივი მაყურებელი გაახარა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა კარლოს მოიამ, რომელმაც უპრობლემოდ დაამარცხა იტალიელი ვოლანდრი, თუმც წააგო მეორე ესპანელმა — ხუან-კარლოს ფერერომ, რომლის წინააღმდეგაც მშვენივრად ითამაშა ბელარუსმა მაქს მირნიმ და დამსახურებულად გავიდა შემდეგ ეტაპზე.

მეორე წრიდან ასპარეზობაში განთესილი მოთამაშეებიც ჩაებნენ. მოგება არ გასჭირვებიათ რუს ნიკოლაი დავიდენკოსა და არგენტინელ კორიას. შემდეგ ეტაპზე გავიდა კიდევ ერთი არგენტინელი და მადრიდის მასტერსის შარშანდელი ფინალისტი დავიდ ნალბანდიანი.

მოულოდნელი არ ყოფილა მეშვიდე ნომრად განთესილი არგენტინელი გაუდიოს გამოვარდნა, რადგან მაგარ საფარზე მისი შედეგები, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ შთამბეჭდავია.

მეორე წრე ვერც ბრიტანელმა ტიმ ჰენმანმა დაძლია, რომელიც სამსეტიან დაპირისპირებაში დამარცხდა ჩეხ შტეპანეკთან. თამაშის შემდეგ ჰენმანმა აღნიშნა, რომ მუხლის ტრავმა ბოლომდე არ მორჩენია, რამაც თამაშში ხელი შეუშალა.

სხვა მატჩებიდან უნდა აღინიშნოს ამერიკელი რობი ჯინეპრის მიერ ფრანგი გროჟანის დამარცხება. ამ დაპირისპირებაში გადამწყვეტი უკანასკნელი სეტის დასაწყისი აღმოჩნდა, როცა ამერიკელმა ზედიზედ ორი ბრეიკი გააკეთა და მესამე ეტაპზე გასვლა შეძლო.

**WTA. ციურიხი. შვეიცარია. მაგარსაფარი. საპრიზო 1 300 000**

I წრე

**ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია) — რობერტა ვინჩი (იტალია) — 5:7 6:2 6:1

**ნატალი დეში** (საფრანგეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) — 6:4 4:6 7:6

**პატი შნიდერი** (შვეიცარია, 6) — გიზელა დულკო (არგენტინა) — 6:1 6:3

**ელენა იანკოვიჩი** (სერბია-მონტენეგრო) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) — 6:3 4:2 შეწყდა

**ანა ივანოვიჩი** (სერბია-მონტენეგრო) — ტატიანა გოლოვინა (საფრანგეთი) — 6:4 5:7 7:5

**ციურიხში** მიმდინარე WTA-ს ტურნირზე გუშინ დასრულებულ მოუახლოვდა პირველი წრე [illegible] ბილი გახდა [illegible] ლი თითქმის ყველა ჩოგბურთელის ვინაობა. განთესილი მოთამაშეები ტურნირში სწორედ ამ [illegible] ჩაერთვებიან. თუმცა მათ შორის არ იქნება მესამე ნომრად განთესილი ფრანგი მარი პირსი, რომელმაც ჯანმრთელობის მიზეზით უარი განაცხადა ციურიხში ჩასვლაზე. მის ადგილს კი ბულგარელი [illegible] რი სესილ კარატანჩევა დაიკავებს.

გუშინდელი მატჩებიდან უნდა აღინიშნოს ორი სერბი ჩოგბურთელის — ელენა იანკოვიჩისა და ანა ივანოვიჩის — წარმატება. [illegible] ლმა ასპარეზობას ტურნირის შარშანდელი ტრიუმფატორი, ავსტრალიელი ალისია მოლიკი [illegible] შა. თუმც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრალიელმა შიდა ყურის ინფექციის გამო მატჩი [illegible] შეწყვიტა.

უფრო გაუჭირდა მეექვსე [illegible] ვის. ფრანგმა [illegible] სეტში სამი მატჩბოლიდან [illegible] ნების საშუალება არ მისცა [illegible] და თამაში მესამე სეტში [illegible] ვანა, თუმც ივანოვიჩი [illegible] სტაბილური აღმოჩნდა და [illegible] გაიმარჯვა.

შემდეგ ეტაპზე გავიდა [illegible] ბრივი ფავორიტი კერძო [illegible] რიც, რომელსაც მხოლოდ 50 [illegible] თი დასჭირდა არგენტინელი [illegible] ლკოს დასამარცხებლად.

დაძაბულად წარიმართა [illegible] ნატალი დეშისა და რუსი [illegible] ლანა კუზნეცოვას მატჩი. [illegible] ვებულის გამოსავლენად სამი სეტის ჩატარება გახდა საჭირო [illegible] ბოლოოდ ყველაფერი ფრანგის სასარგებლოდ დასრულდა.

**კახა ლომაშვილი**



## რეგულარული ჩემპიონატი

# ალექსანდრ მრისხანემ შეცდომა გამოისყიდა



AFP ნიუ ჯერსიდან

ნიუ ჯერსი — ფლორიდა

— 18 ოქტომბერი —

**მონრეალი 4:3 ბოსტონი**

0:2 2:1 2:0

0:1 აქსელსონი (6), 0:2 ლიჩი (9), 1:2 რაიდერი (26), 2:2 კოვუ (34), 2:3 ბოინტონი (36), 3:3 რიბეირო (43), 4:3 პერეჟოგინი (50)

**ბოლის** და პასის ხარჯზე ბოსტონელი ბრაიან ლიჩი ლიგის ისტორიაში 69-ე მოთამაშე გახდა, ვინც ნჰლ-ში 1000 ქულა მოაგროვა.

აღსანიშნავია, რომ ლიჩი მხოლოდ მეცხრე მცველია ამ საპატიო სიაში.

**ნიუ ჯერსი 4:3 ფლორიდა**

1:1 1:1 2:1

0:1 ჰორტონი (18), 1:1 ბრილინი (20), 2:1 კოზლოვი (34), 2:2 პაიე (3), 2:3 კოლნიკი (44), 3:3 პარიზე (45), 4:3 მოგილნი (54)

**ალექსანდრ** მოგილნიმ პირველ პერიოდში დაშვებული შეცდომა მალე გამოისყიდა. „ალექსანდრ მრისხანეს" მიერ შაიბის საკუთარი ზონიდან გადაგდების უხეირო მცდელობა მასპინძელთა კარში პირველი გოლით დასრულდა. მერე მოგილნიმ ორჯერ მიიღო მონაწილეობა საგოლე კომბინაციაში, ბოლოს კი თავად გაიტანა, და ორი მწარე მარცხის შემდეგ გუნდის ქომაგები ანუგეშა.

**ედმონტონი 3:4 ფინიქსი**

0:2 1:0 2:1 0:1

0:1 საპრიკინი (12), 0:2 საპრიკინი (14), 1:2 ულანოვი (26), 1:3 დოუნი (42), 2:3 პეკა (45), 3:3 რიზონერი (48), 3:4 მორისი (61)

**ედმონტონში** უეინ გრეცკის პირველი ჩასვლა მწვრთნელის ამპლუაში ხეირიანი გამოდგა.

შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ ქალაქთანაა დაკავშირებული „დიადი ვინმეს" საუკეთესო წლები ლიგაში. ასე რომ, უეინისთვის ეს საკმაოდ დიდი ემოციური განცდა იყო, მით უმეტეს, რომ მატჩის წინ მისი მრავალწლიანი პარტნიორისა და მეგობრის პოლ კოფის საპატიოდ ედმონტონის არენის ჭერქვეშ 7-ნომრიანი მაისურა ჩამოკიდეს...

მოგონება მოგონებად, გრეცკის ამჟამინდელ გუნდს კი ქულები სჭირდება და დერეკ მორისის საოვერტაიმო გოლმა „დიადი" არანაკლებ გაახარა, ვიდრე წარსულში დაბრუნებამ.

**ვანკუვერი 6:2 ჩიკაგო**

0:0 4:1 2:1

1:0 დ. სედინი (23), 2:0 ოლუნდი (25), 3:0 სალო (27), 3:1 ვორობიოვი (30), 4:1 ოლუნდი (33), 4:2 ლაპოინტი (44), 5:2 მორისონი (49), 6:2 ნესლუნდი (60)



სტივ სალივანი

# კვირის ყოჩები

**გასული** კვირის საუკეთესო მოთამაშეებად ლიგამ ნეშვილელი სტივ სალივანი (საუკეთესო შემტევი) და ტორონტოელი მიკაელ მაკეიბი (საუკეთესო მცველი) აღიარა.

სწორედ სალივანის დამსახურებაა, რომ მისი „ნეშვილი" მოულოდნელად დასავლეთ კონფერენციის სათავეში მოექცა. თანაც გუნდს აქამდე ერთი ქულაც არ დაუკარგავს, გასულ 7 დღეში ჩატარებულ მატჩში სალივანმა 4 გოლი და 3 პასი მიითვალა. სალივანი ბომბარდირთა სიაში 10 ქულით ლიდერობს ფილადელფიელებთან, სიმონ განიესა და პეტერ ფორსბერგთან ერთად.

რაც შეეხება მაკეიბს, მან უფრო მეტი 8 (1+7) ქულა მოაგროვა 4 თამაშში, რაც უდავოდ სამაგალითო მაჩვენებელია მცველისთვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ მაკეიბი კანადური [illegible] ლელი ფიგურაა დაცვაში ერთ მატჩში ის საშუალოდ ყინულზე 25 წუთს [illegible]

**სამველ ღარიბიანი**



# ჯერჯერობით ვერა

ამ იტალიელ მეგოლფეს, ემანუელე კანონიკას განუზრახავს ბურთის სიშორეზე გაფრენის რეკორდის მოხსნა. ამისათვის პალმა დე მალიორკას აეროპორტის ასაფრენ ბილიკზე დამდგარა და ყვანჯიც დაუკრავს. რეკორდი კი კვლავ ბრიტანელ პოლ სლეიტერს ეკუთვნის, რომელმაც 658,3 მეტრზე აფრინა ბურთი.

AFP პალმა დე მალიორკადან



AFP ნანჯინგიდან

# ჟანგი და ჟენი

ჩინეთში ძლეოსნობის ეროვნული შეჯიბრებანი გახურდა. სიგრძეზე ხტომაში მთავარი მეტოქენი იყვნენ ჟანგ შინი (102) ტიანინის პროვინციიდან და სონ ჟენი ფუიანის პროვინციიდან. მოიგო ჟანგმა, რომელიც 7,99 მეტრზე გადახტა.



AFP ნანჯინგიდან



AFP ედმონტონიდან

# პოლ კოფი წავიდა

თუკი ვინმეა დიადი ახლანდელ კანადურ ჰოკეიში პოლ კოფი. დიახ, პოლ კოფი, რომელიც თავის ბოლო გუნდს, „ედმონტონ ოილერს" ეთხოვება. მისი ორი წლის ვაჟი კრისტიანი კი იქვე დაბორიალობს, ჯერ არც კი იცის, რას ნიშნავს კანადაში გვარი კოფი.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:** გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი:** ირაკლი ფირაშვილი
**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, ოთარ ძალლა, კელიძე, ირაკლი პერტაია
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მისაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge